ლაშა

შავდათუაშვილი

LASHA SHAVDATUASHVILI

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF
Elguja Berishvili

პროექტის მენეჯერი
ემზარ ზენაიშვილი

THE PROJECT MANAGER
Emzar Zenaishvili

პროექტის კოორდინატორი
რუსუდან აფციაური

THE PROJECT COORDINATOR
Rusudan Aptsiauri

ტექსტი
ოთარ მაღლაკელიძე

TEXT
Otar Maglakelidze

დიზაინი
ვახტანგ შატაიძე

DESIGN
Vakhtang Shataidze

რედაქცია
**ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,
კარლო ფაჩულია, ზაალ ანჯაფარიძე, ინგა ალავიძე,
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე**

EDITORIAL STAFF
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო
**გიგა გურასაშვილი, ელგუჯა ბერიშვილი,
ალექსანდრე კოტორაშვილი, თამარ ყულუმბეგაშვილი,
გიორგი ჭანიშვილი, www.sportphoto.ge**

PHOTO
**Giga Gurasashvili, Elguja Berishvili, Aleksandre Kotorashvili,
Tamar Kulumbegashvili, Giorgi Chanishvili, www.sportphoto.ge**

პარტნიორები
**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა
საქართველოს ძიუდოს ფედერაცია**

PARTNERS
**Georgian National Olympic Committee
Olympic Solidarity of the International Olympic Committee
Georgian Judo Federation**

ISSN 2233-3096
ISBN 978-9941-0-3773-7

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

ლაშა შავდათუაშვილი

2013

© საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია
© GEORGIAN SPORTS WRITERS ASSOCIATION

2011 წლის ნოემბერი. საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრების წევრი ლაშა შავდათუაშვილი ისეთი ბედნიერია, რამდენიმე დღის წინ დასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატის უსამართლოდ წაგებული მეოთხედფინალიც კი გადაავიწყდა. ჯერ 19 წლისაა და უკვე ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში მოხვდა — ავსტრიელმა მთავარმა მწვრთნელმა პიტერ ზაიზენბახერმა პერსპექტიულ ახალგაზრდა სპორტსმენს ძირითად გუნდთან ერთად ერთ-ერთ უპრესტიჟულეს ტურნირზე გამოსვლა და შემდგომ, უცხოურ შეკრებებში ჩართვა შესთავაზა. წლების ოცნება ასე მოულოდნელად აუხდა. დროა,მორიგი მიზანი დაისახოს – რვა თვეში ოლიმპიური თამაშები უნდა გაიმართოს, თუმცა დიდ ნაკრებში ადგილის დამკვიდრება და ლონდონის ლიცენზიის მოპოვება ურთულესი საქმე იქნება. წინასაოლიმპიადო სალიცენზიო მარათონის ნახევარზე მეტი უკვე გავლილია. წინ მხოლოდ რამდენიმე სარეიტინგო ტურნირიღა რჩება და მსოფლიოს რეიტინგში 22 საუკეთესო ძიუდოისტს შორის გამოუცდელი, თუნდაც უნიჭიერესი სპორტსმენის მოხვედრა, ყველაზე ოპტიმისტი გულშემატკივრებისთვისაც კი წარმოუდგენელი ჩანს.

საქართველოს ნაკრებს ოლიმპიადის სალიცენზიო ეტაპზე ლაშას წონაში – 66 კილოგრამში ყველაზე მეტად უჭირს და ზაიზენბახერი პრობლემის მოგვარების ნაკლებადრეალურ შანსს ამიტომაც ჩაებღაუჭა, მაგრამ ლონდონში სრული, შვიდკაციანი გუნდით ჩასვლის პერსპექტივისა თავადაც ნაკლებად სჯერა.

...სადებიუტო ჰოლანდიური ტურნირი შავდათუაშვილისთვის წარუმატებელი გამოდგა, მაგრამ იანვრიდანმოყოლებული, სალიცენზიო ქულების უხვად აკრეფას შეუდგა, არაერთ სახელმოხვეჭილ მეტოქეს აჯობა, მართლაც შეუძლებელი შეძლო და აპრილში უკვე ოლიმპიადის საგზურით გაიხარა.

მორიგ მწვერვალზეც უმალ დაიწყო ფიქრი. ოლიმპიურ თამაშებამდე დარჩენილ სამიოდ თვეში იმდენი უნდა მოეხერხებინა, რომ ბრიტანულ ტატამზე,თავის წონით კატეგორიაში,ვითარების ბატონ-პატრონი გამხდარიყო.ეს კიდევ უფრო არარეალური ოცნება იყო, ვიდრე თუნდაც



ლიცენზიის მოპოვება, მაგრამ გავიდა სამი თვე და 20 წლის ქართველმა ძიუდოისტმა მსოფლიოს ლონდონის ოლიმპიური კვარცხლბეკიდან გადმოხედა – 2012 წლის 29 ივლისის საღამოს, საგამოფენო ცენტრ „ექსელის“ ძიუდოს დარბაზში ხუთჯვრიანი დროშა აღმართეს და საქართველოს ჰიმნი დააგუგუნეს 66 კილოგრამი წონითი კატეგორიის ყველაზე უახალგაზრდა და რაც მთავარია, ყველაზე ძლიერი ძიუდოისტის, ლაშა შავდათუაშვილის პატივსაცემად.კარალეთელი სპორტსმენი, რომელსაც სეზონის დასაწყისშიზურგს უფროსებში ჩატარებული ერთადერთი საერთაშორისო ტურნირის გამოცდილება და 24 სარეიტინგო ქულა უმაგრებდა, სეზონის მიწურულს მსოფლიოს რეიტინგ-სიის ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

მსოფლიო სპორტში ბევრი ვარსკვლავია, უამრავი ტიტულის მიუხედავად, კარიერა ნანატრი ოლიმპიური ოქროს გარეშე რომ დაასრულა. შავდათუაშვილმა კი პირდაპირ ოლიმპიური ჩემპიონობით დაიწყო და მშვენიერი შანსი აქვს, საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ძიუდოისტის სახელიც მოიხვეჭოს.

* * *

ლაშა შავდათუაშვილი გორის რაიონის სოფელ კარალეთში დაიბადა. 11 წლის იქნებოდა, პაპამ კობა კურტანიძის სახელობის ძიუდოს დარბაზში რომ მიიყვანა 8 წლის ძმასთან, ბექასთან ერთად. ბავშვების სპორტში ჩაბმის გადაწყვეტილება ოჯახმა ერთხმად მიიღო, ოღონდ მაშინ დიდ სპორტსმენებაზე მეტად, ფიზიკურ გაჯანსაღებაზე ფიქრობდნენ. თუმცა,ოჯახის უფროსსგენადი შავდათუაშვილს გულის სიღრმეში შვილების ძლიერ მოჭიდავედ ჩამოყალიბების სურვილიც ამოძრავებდა – წლების წინ თავადაც იყო ამ საქმით გატაცებული და საკმაოდ კარგადაც გამოსდიოდა. ქართული ჭიდაობის ტურნირებშიც აქტიურად მონაწილეობდა, მაგრამ ადრიანადვე ჩამოსცილდა, რადგან 17 წლისამ ცოლი მოიყვანა და ოჯახს სპორტით ვერ არჩენდა.

უნდოდა, რაც თავად ვერ შეძლო, ის ვაჟებს გაეკეთებინათ. ერთხელ

ლაშა მეზობელ ბავშვს დააჭიდა, რომელიც ფიზიკური მონაცემებითაც სჯობდა და, ამასთან, ჭიდაობაზეც დადიოდა. ძლიერმა მოიგო, თან ისეთი კისრულით, რომლაშასაშინლად გამწარდა. მამის შეკითხვასაც – უნდოდა თუ არა ძიუდოზე ევლო, მაშინვე დათანხმდა. დიდი პერსპექტივა კოჭებში ნამდვილად არ ეტყობოდა და ამას ლაშას პირადი მწვრთნელები — ნიკო ბიბილაშვილი და ანზორ თენაძეც ადასტურებენ, მაგრამ წარმატების გარანტია მხოლოდ თანდაყოლილი ტალანტი და ძლიერი ფიზიკური მონაცემები რომ არაა, ლაშა შავდათუაშვილმა მალევე დაამტკიცა. პირველ ყოვლისა, უდიდესი შრომისმოყვარეობით.

ანზორ თენაძე იხსენებს: „ლაშა სასწაულად ბეჯითი ბავშვი იყო. ყოველმხრივ მოწესრიგებული. თავად ხომ მუდამ თავჩაღუნული ვარჯიშობდა, ბექასაც მაქსიმალურყურადღებას აქცევდა. მასზე სამი წლით უფროსია და როგორც შვილს, ისე უვლიდა. წარმოიდგინეთ, კარალეთიდან გორში დადიოდნენ სავარჯიშოდ და არ მახსოვს, ერთი დღე მაინც გაეცდინოთ.“

მონდომებამ შედეგი მალე მოიტანა. ლაშამ ჯერ ადგილობრივ, შემდეგ კი რეგიონის შეჯიბრებაზე გამოიჩინა თავი. პირველ სერიოზულ წარმატებას საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატზე მიაღწია – ვერცხლის მედალი მოიპოვა. ფინალში შმაგი ლაგაზაურთან წააგო და ეს მარცხი მძიმედ განიცადა. ნაკრების პირველი ნომერი ლაგაზაური გახდა. შავდათუაშვილი კი, როგორც კანდიდატი,ისრაელში წაიყვანეს, საერთაშორისო ტურნირზე.იქ ოქროს მედალი აიღო.მონდომება არც მანამდე აკლდა, მაგრამ უცხოური წარმატების შემდეგკიდევ უფრო მიზანსწრაფული გახდა. ყველაზე მეტ დროს გამძლეობაზე ვარჯიშს უთმობდა.

„დარბაზიდან აუცილებლად ბოლო უნდა გასულიყო. ბევრჯერ მითქვამს —ლაშა გეყოფა-მეთქი. მიდიოდა და სახლში აგრძელებდა ვარჯიშს. ერთხელ, გორის ძიუდოს დარბაზში აზერბაიჯანელმა მწვრთნელებმა ჩამოიყვანეს გუნდი ერთობლივი შეკრების გასავლელად. გაოცებულები უყურებდნენ, როგორ ატარებდა ეს პატარა ბიჭი ზედიზედ 10-15 შეხვედრას. რაიმე ახალ ილეთს რომ ვასწავლიდით, არაფრით არ დაისვენებდა, სანამ ბოლომდე არ დახვეწდა. მერე კი ცდილობდა ეს სიახლე

ჭიდაობის დროსაც გამოეყენებინა და რომ გამოუვიდოდა, უხაროდა," – ამბობსნიკო ბიბილაშვილი.ოლიმპიური ჩემპიონის პირადმა მწვრთნელმა ის დასვენების დღეებიც გაიხსენა, როცა ძიუდოს სკოლა დაკეტილი იყო, მაგრამ შიგნით ლაშა შავდათუაშვილი ვარჯიშობდა - ფანჯრიდან გადაიპარებოდა ხოლმე და თავისთვის ემზადებოდა.

თეა შავდათუაშვილი (ლაშას დედა):„ფიზიკურად ძალიან სუსტი და ამასთან, რაღაცნაირი, გულჩათხრობილი ბავშვი იყო. ამაზე მთელი ოჯახი ვწუხდით. ძიუდოზე შეყვანის მიზეზიც სწორედ ეს იყო — ვფიქრობდით, რომსპორტი უფრო გააააქტიურებდა და თავის თავში ჩაკეტილი არ იქნებოდა. ჭიდაობის ინტერესი მისთვის ნამდვილად არ შემიმჩნევია, მაგრამ დაიწყო თუ არა ვარჯიში, მალევე შეუყვარდა ძიუდო. ძალზე ინტერესიანი იყო და როგორც ჩანს, თავიდანვე რაღაც დაისახა მიზნად. ძიუდოს გარდა აღარაფრის გაგონება არ უნდოდა. სწავლაში ბევჯითი ნამდვილად არ ყოფილა, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ვარჯიში დაიწყო. მიჭირდა შეგუება, მაგრამ ლაშას ყოველდღიური შრომის და საოცარი ჟინის შემყურე, დღითიდღე ვრწმუნდებოდი, რომ შვილის არჩევანისთვის პატივი უნდა მეცა. მასწავლებლების უმრავლესობაც გაგებით მოეკიდა ლაშას არჩევანს, თუმცა სკოლაში პრობლემებს მაინც ვერ ავცდით. რამდენიმეჯერ საგანგებოდ დაგვიბარეს და გვისაყვედურეს – ლაშა დაკეტილ სკოლაში, ფიზკულტურის დარბაზში შემოპარულა სავარჯიშოდ და ამ დროს სკოლაში რაღაც გაფუჭდაო. მის გარდა სხვებიც იპარებოდნენ და რა თქმა უნდა, ყველა სავარჯიშოდ არა. კარგად იცოდნენ, რომ ლაშა არაფრის გამფუჭებელი არ იყო, მაგრამ რახან სავარჯიშოდ შედიოდა, მე მისაყვედურეს.სახლშიც ვარჯიშობდა თავისი გეგმით. სპეციალურ დღიურში მთელი კვირის განრიგი ჰქონდა გაწერილი და ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდა. ხშირად ყოფილა, სახლში ისეთი დაქანცული მოსულა, ფეხზე დგომა და ლაპარაკიც აღარ შეეძლო, მაგრამ დღის განრიგის მიხედვით, დაწოლილს წიგნი უნდა წაეკითხა, ტკბილად რომ დასძინებოდა. მობეზრების და გულის აცრუების ერთი შემთხვევაც არ მახსენდება. ჯიუტად მიუყვებოდა არჩეულ გზას.რაც შეეხება ლიტერატურას, ძირითადად ტიტულიანი ქართველი სპორტსმენების ისტორიებით ინტერეს-







JUDO



დებოდა. მათ შესახებ თითქმის ყველაფერი ზეპირად იცოდა.ალბათ,15 წლის იქნებოდა, მძიმე ტრავმა მიიღო და თითქმის მთელი წელი გაუცდა. ეს მისთვის უდიდესი ტრაგედია იყო, მაგრამ გამოჯანმრთელდა თუ არა, ისევ დარბაზს დაუბრუნდა და გაორმაგებული მონდომებითა და ენერგიით განაგრძო ვარჯიში.

სკოლის ბოლო ზარზეც კი არ წავიდა, რადგან ჭაბუკებს შორის საქართველოს ჩემპიონატზე გამოსასვლელად ემზადებოდა – ხელი შემეშლებაო. ბანკეტსაც აცდენდა, მაგრამ კლასელებმა მოაკითხეს და დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ორიოდ საათით გაჰყვა.ერთხელ შეკრებაზე წასაყვანი ძიუდოისტების სიაში არ შეიყვანეს და გადაწყვიტა თვითონ მოეწყო „შეკრება.“ ჩაალაგა ფორმა, საჭირო ნივთები და მთაში წავიდა სავარჯიშოდ.კერპიც ჰყავდა – იაპონელ ნამურაზეგიჟდებოდა. ერთხანს, ვარჯიშისგან თავისუფალ დროს გორში, ინტერნეტ-კაფეში დადიოდა, ნამურას და სხვა ლეგენდარული ძიუდოისტების ჭიდაობის ვიდეოჩანაწერების საყურებლად”.

ქართველი ძიუდოისტებიდან ყველაზე მეტად ირაკლი ცირეკიძეს აფასებს. ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლასა და გამარჯვებაზე ფიქრი 2008 წლის ოლიმპიადაზე სწორედ ცირეკიძის გამარჯვების შემდეგ დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ საქართველოში და მით უმეტეს, გორში სპორტისთვის არავის ეცალა.

თეა შავდათუაშვილი:„ლაშას ვარჯიში ომის დროსაც არ შეუწყვეტია. რა დამავიწყებს — ერთ დღეს, გორის კომბინატის სავარჯიშო დარბაზში აპირებდა წასვლას. მთელი დილა ვეხვეწე, რომ არ წასულიყო. მადლობა ღმერთს, დამიჯერა.ცოტა ხანშიგავიგეთ, რომ დაბაზს ყუმბარა მოხვდა. კარალეთიდანერთ-ერთი ბოლო ჩვენი ოჯახი გავიდა. ლაშამ თავისი კიმონოები, სავარჯიშო რეზინები და ლოცვების წიგნი წამოიღო. თბილისში ერთ-ერთ სკოლაში დავბინავდით და ვარჯიში არც იქ შეუწყვეტია, ყოველ დილით კუს ტბაზე დარბოდა. საბედნიეროდ, ჩვენს სახლში მალევე დავბრუნდით”.

* * *

2010 წლის აპრილში ლაშას ახალგაზრდული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში უხმეს და საბერძნეთის ქალაქ მუდანიაში, საერთაშორისო ტურნირზე — ევროპის თასზე წაიყვანეს. ყველა შეხვედრა მოიგო და ოქროს მედლით დაბრუნდა, მაგრამ ახალგაზრდულ ნაკრებში გასალიდერებლად ეს შედეგი არ იყო საკმარისი. ბერძნული ტურნირიდან დაახლოებით თვენახევარში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა. მინიმუმ, ფინალში გასვლა სჭირდებოდა, რათა ორ უმთავრეს კანდიდატს შორის მოხვედრილიყო და ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელ შემადგენლობაში მოსახვედრად მორიგ საერთაშორისო ტურნირზე დაემტკიცებინა ნაკრების მწვრთნელისთვის თავისი პირველობა.

საქართველოს პირველობაზე ნახევარფინალამდე ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა, ვიდრე შავდათუაშვილმა სადავო გდებით არ ნააგო. მწვრთნელ-სპეციალისტთა უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ გადამწყვეტი ილეთი წესის დარღვევით შესრულდა, მაგრამ გაპროტესტებას უკვე აღარანაირი აზრი არ ჰქონდა. საბოლოოდ,ლაშამ მესამე ადგილი დაიკავა, რაც კანდიდატთა სიის მიღმა დარჩენას ნიშნავდა, მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მისი კარგი ჭიდაობა და გამონაკლისი დაუშვა–უთხრეს, რომ გუნდის გაფართოებულ შემადგენლობაში ჩასვამდნენ, ოღონდ პრაღის „ევროპის თასზე“ წასასვლელად საჭირო თანხა თავად უნდა ეშოვნა.

„ათასი დოლარი გვჭირდებოდა. ეს წარმოუდგენლად დიდი ფული იყო ოჯახისთვის, რომელიც თავს სოფლის მეურნეობით ირჩენდა. ვინ არ შევაწუხეთ და თანხა ნაწილ-ნაწილ შევაგროვეთ. ლაშა კი თურმე მთელი გზა იმაზე ნერვიულობდა, როგორ გავისტუმრებდით ამხელა ვალს. არასოდეს არ იყო მომთხოვნი. ოღონდ გზის ფული მიგვეცა, რომ ვარჯიშზე წასულიყო და მეტს არაფერს ითხოვდა. სხვა დანარჩენი, მატერიალური, მისთვის მეორეხარისხოვანი იყო.მოზრდილი ადამიანივით შედიოდა ჩვენს მდგომარეობაში,“ – გაიხსენა თეა შავდათუაშვილმა ოლიმპიური თამაშების შემდეგ, ერთ-ერთ ინტერვიუში.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სო-

სო ლიპარტელიანმაჩეხეთში სულ 18 ძიუდოისტი იახლა. სწორედ მათგან უნდა შეერჩია ის 8 საუკეთესო, რომლებითაც ევროპირველობის განაცხადს დააკომპლექტებდა. პრაღის „ევროპის თასზე“ ქართულმა გუნდმა 6 მედალი მოიპოვა. გიორგი ნოზაძე (90 კგ) ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, ოთარ კაიდარაშვილმა (55 კგ) და შმაგი ლაგაზაურმა (60 კგ) ვერცხლის მედლები აიღეს, ხოლო ლაშა შავდათუაშვილი (66 კგ), ბეთქილ აფრასიძე (73 კგ) და ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ) ჩემპიონები გახდნენ.

გენადი შავდათუაშვილი: „გამარჯვება ფინანსური თვალსაზრისით ვერაფერში წაგვეხმარებოდა. ვალი ვალად რჩებოდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ლაშამ მიზანს მიაღწია. დაამტკიცა, რომ მზად იყო ნაკრებში საჭიდაოდ. წინ კი უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება გველოდა – ევროპის ჩემპიონატი”.

ევროპირველობას ჩეხური ტურნირიდან თვენახევარში, 17-19 სექტემბერს ბულგარეთის ქალაქმა სამოკოვმა უმასპინძლა.საქართველოს ნაკრების წევრთაგან ოთარ კაიდარაშვილი და ავთანდილ ჭრიკიშვილი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ, გიორგი ნოზაძე ფინალში დამარცხდა, ხუთი ქართველი ძიუდოისტი კი სამეულს მიღმა დარჩა. ლაშა შავდათუაშვილი ამ ხუთეულში იყო – ტურნირს საწყისი ეტაპიდანვე გამოეთიშა.

ბულგარული ახალგაზრდული ევროპირველობის პარალელურად თბილისში, ძიუდოს შიდა წრეებში ისეთი ამბები დატრიალდა, ასაკობრივი გუნდის საკმაოდ წარმატებული ევროგამოსვლა აშკარად დაიჩრდილა – ტოკიოში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატიდან უმედლოდ დაბრუნდა საქართველოს ეროვნული ნაკრები, რომლის უშედეგობასაც დამატებით ტვირთად ერთი სასირცხვილო ამბავიც დააწვა. ნაკრების ლიდერმა, ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა ირაკლი ცირეკიძემ მერვედფინალში ტატამზე გასვლა დააგვიანა და ტურნირიდან მოხსნეს. ქართულმა დელეგაციამ ოფიციალურ მიზეზად სპორტსმენის ჩაძინება დაასახელა. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ამირან ტოტიკაშვილმა კი თანამდებობა დატოვა. ეროვნული ნაკრები ბულგარეთიდან დაბრუნებულ ახალგაზრდული ნაკრების თავკაც სოსო ლიპარტელიანს ჩააბარეს,

ახალგაზრდულის ახალ დამრიგებლად კი გია გუგავა დანიშნა. გუგავასთვის სადებიუტო ტურნირი მსოფლიოს ჩემპიონატი აღმოჩნდა, რომელიც ევროპირველობიდან სულ რაღაც ერთ თვეში გაიმართა მაროკოს ქალაქ აგადირში. საქართველოს ნაკრებმა ორი მედალი მოიპოვა - ავთანდილ ჭრიკიშვილმა ევროტიტულს მსოფლიოს ოქროც შემატა, ხოლო ზებედა რეხვიაშვილი (73 კგ) ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. შავდათუაშვილმა ვერც აგადირში იყოჩაღა – პირველსავე წრეში წმინდად დამარცხდა ტუნისელ ჰოსემ ხალფაუისთან. პირადმა მწვრთნელებმა უშედეგობა ლაშას ფიზიკურ გადაღლას დააბრალეს. თავად სპორტსმენი და მისი მშობლები კი აცხადებდნენ, რომ ორგანიზმის დასუსტების უმთავრესი მიზეზი ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო. ლაშას სუნთქვა უჭირდა, რაც უკვე ვარჯიშშიც კი უშლიდა ხელს.

„ექიმმა ყელში რომ ჩახედა, გადაირია – გლანდები სასწრაფოდ ამოსაჭრელიაო. ოპერაციაც მაშინვე დაგეგმა და ანალიზების გასაკეთებლად გაგვიშვა. იქ კისხვა ექიმმა ლაშას „ბებრებიანი“ თითები რომ ნახა, ჩხუბი დამიწყო – რა დღეში გყავთ ბავშვი, რამდენს ამუშავებთო. ლაშამ აუხსნა, თოხი და ბარი არაფერ შუაშია, ეს ყველაფერი ბაგირზე ვარჯიშისგან მჭირსო,“ – იხსენებს ოლიმპიური ჩემპიონის დედა.

2011წელი ახალგაზრდა ძიუდოისტებმა წინა სეზონის მსგავსად, აპრილში გახსნეს, ისევ მუდანიას „ევროპის თასით.“ ლაშა შავდათუაშვილმა ამ ნახევარწლიანი პაუზისას ოპერაციისშემდგომი სარეაბილიტაციო პერიოდის გავლაც მოასწრო და მოლოდინისამებრ, საბერძნეთში წამსვლელი ნაკრების გაფართოებულგანაცხადშიც მოხვდა. გია გუგავამ მუდანიაში 31 სპორტსმენი წაიყვანა და მათგან 11-მა მედალი მოიპოვა. ფინალში ხუთმა ქართველმა იჭიდავა. ოთხმა მოიგო. ერთადერთი, ვისაც ოქროს მედლამდე გადამწყვეტი ნაბიჯი დააკლდა, შავდათუაშვილი იყო. ტურნირს სამდღიანი ერთობლივი წვრთნები მოჰყვა. აპრილის ბოლოს კი დიღომში მდებარე შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიამ ახალგაზრდებში საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა. აქ კი ლაშა უკვე შეუდარებელი იყო.პირველი ქართული ტიტული ახალგაზრდული ნაკრების ახალ შემადგენლობაში მოხვედრის რეალური შანსი იყო და, აბა,

ამ შანსს ხელიდან როგორ გაუშვებდა. თან უკვე სუნთქვის პრობლემაც აღარ აწუხებდა, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში მონაწილეობის გამოცდილებაც ჰქონდა და არათუ ნაკრებში დამკვიდრებაზე, უკვე დიდ გამარჯვებებზე ფიქრობდა.

„2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიდან ძალიან გაბრაზებული ჩამოვიდა – თურმე არაფერს არ წარმოვადგენო, მაგრამ იმის მაგივრად, რომ ჩვენ შეგვეგულიანებინა, აქეთ დაგვამშვიდა – კარგი გაკვეთილი მივიღე და ნამდვილ ჭიდაობას ახლა ვიწყებო," – ამბობს ლაშას დედა.

წლების შრომამ და ახალმა შემართებამ შედეგი მალევე მოიტანა. ლაშა შავდათუაშვილმა საქართველოს ჩემპიონობას 2011 წლის 17 სექტემბერს ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონის ტიტული მიამატა - ბელგიის ქალაქ ლომელში ჩატარებულ ევროპირველობაზე ექვსი შეხვედრა მოიგო და რაც მთავარია, ისე გამართულად იჭიდავა, არც ერთი მოწინააღმდეგისთვის პატარა შანსიც კი არ მიუცია. ოქროს გზას უნგრელი მარტინ ვეგვარის წმინდად ძლევით შეუყვა. ჩეხი იაკუბ იაჩმინეკი ვაზარით ჩამოიცილა, ჰოლანდიელ ხუნიორ დეგენს წუთნახევარში მოუთავა საქმე, სერბ ილია ციგანოვიჩს ორი იუკო აკმარა, ებრაელი ტარ ფლიკერი ერთ წუთში გააკრა ტატამს. ფინალში კი სლოვენიელი ანდრაზ ჟერები ორჯერ დააგდო იუკოზე.ბელგიიდან საქართველოს ნაკრები ოთხი მედლით დაბრუნდა. ლერი ჭელიძეს (55 კგ) და ლევან მატიაშვილს (+100 კგ) კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე თითო გადამწყვეტი გამარჯვება დააკლდათ და შესაბამისად ვერცხლს დასჯერდნენ, მიხეილ ჩოხელმა (73 კგ) კი მესამე ადგილი დაიკავა.

ევროპირველობას თვენახევარში მსოფლიოს ჩემპიონატი მოჰყვა. სეზონის ორ უმთავრეს ტურნირს შორის გია გუგავამ გუნდის გაფართოებული შემადგენლობა დუშეთში შეკრიბა. ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა შეკრების მიწურულს მსოფლიოზე წასაყვან ძიუდოისტთა სია ოფიციალურ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა. საერთაშორისო ფედერაციისგან მინიჭებული კვოტა თითქმის სრულად გამოიყენა – განაცხადში თითო წონაში ორი სპორტსმენი შეიყვანა. გამონაკლისი მხოლოდ 66 კილოგრამში დაუშვა, სადაც საჭიდაოდ მარტო ლაშას უხმო.

სეზონის უმთავრეს ტურნირს 3-6 ნოემბერს სამხრეთ აფრიკულმა კეიპტაუნმა უმასპინძლა. საქართველოს ნაკრებმა ტატამიდან სამი ბრინჯაოს მედალი გამოიტანა. ერთი შავდათუაშვილის ანგარიშზე იყო, მაგრამ მსაჯების აშკარადტენდენციური გადაწყვეტილება რომ არა, 18 წლის ქართველი ძიუდოისტი აფრიკულ კვარცხლბეკზე უფრო მაღალ საფეხურზე უნდა ასულიყო – მეოთხედფინალში, სამხრეთკორეელ დონგკიო ლისთან დაპირისპირება „ოქროს დროში“ გადავიდა. იქ კი ლაშას ისეთი აბსურდული შიდო მისცეს, ინტერნეტ-რეპორტაჟის მიმომხილველმა ბრიტანელმა კომენტატორმაც კი ვერ დამალა აღშფოთება. შედეგად, ოქრო-ვერცხლისთვის ბრძოლა სამხრეთკორეელმა გააგრძელა, ლაშა კი საბოლოოდ მესამე ადგილი ერგო. ასეთივე შედეგიაჩვენეს გიორგი მესაბლიშვილმა (55 კგ) და ბექა ღვინიაშვილმაც (81 კგ). „უსამართლობა რომ არა, ლაშა შავდათუაშვილს 2011 წლის სეზონი ოქროს დუბლით უნდა დაესრულებინა,“ – უთხრა ჟურნალისტებს თბილისში დაბრუნებულმა გია გუგავამ.

წარმატებულმა სეზონმა ლაშას ფინანსური სარგებელიც მოუტანა— წლის ბოლოს, გენადი შავდათუაშვილის ოჯახმა ევროპის ჩემპიონი შვილის პრემიალური თანხითაც გაიხარა, თუმცა გაცილებით მნიშვნელოვანი და სასიხარულო ამბავი იქამდე მოხდა. სამხრეთ აფრიკიდან რამდენიმე დღის დაბრუნებული შავდათუაშვილი საქართველოს ეროვნული ნაკ-



რების ავსტრიელმა თავკაცმა პიტერ ზაიზენბახერმა ამსტერდამის „დიდ პრიზზე“ დასაყენებელ შემადგენლობაში ჩაწერა.

* * *

ლონდონის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ქულების დარიცხვა 2011 წლის იანვრიდან დაიწყო.სეზონის განმავლობაში ათამდე ტურნირი ჩატარდა და წინასაოლიმპიადო სურათი უკვე გამოკვეთილი იყო. საქართველოს ნაკრებს შვიდი წონითი კატეგორიიდან ხუთში ლონდონის საგზური თითქმის განაღდებული ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ სალიცენზიო მარათონის დასრულებამდე კიდევ რამდენიმე ტურნირი რჩებოდა. გაცილებით რთულად იყო საქმე 66 და 73 კილოგრამებში. 66-ში შიდა კონკურენციის ლიდერი შალვა ქარდავა ერთხანს საკმაოდ საიმედოდ აგროვებდა სალონდონე ქულებს, მაგრამ... პიტერ ზაიზენბახერის მოსამზადებელი გეგმა, რომელიც ძირითადად უმძიმეს ფიზიკურ დატვირთვებზე იყო აგებული, ნაკრების რამდენიმე კანდიდატის მძიმე ტრავმის მიზეზი გახდა. ერთ-ერთი დაზარალებული სწორედ ქარდავა აღმოჩნდა, რომელიც ჰოლანდიური ტურნირის წინ სალიცენზიო ნორმატივის ზონაში ჯერაც ინარჩუნებდა ადგილს, მაგრამ ტატამს გაურკვეველი ვადით დაემშვიდობა და გაჩნდა რეალური საშიშროება, რომ მის წონაში ქარ-

თულ გუნდს ოლიმპიადაზე მონაწილე არ ეყოლებოდა.

19 წლის შავდათუაშვილისგან ეროვნულ ნაკრებში ასე სწრაფად დამკვიდრებას და მით უმეტეს, მსოფლიო რეიტინგის სალიცენზიო ჯგუფში შესვლას არავინ ელოდა.ოპტიმიზმის საფუძველი არც ამსტერდამის „დიდ პრიზს“ გაუჩენია. ლაშამ კიმონო მხოლოდ ორჯერ მოირგო – ტურნირში მეორე წრიდან ჩაერთო, სადაც უკრაინელი სერგეი დრებოტი დაამარცხა, მერვედფინალში კი პოლონელ პაველ ზაგროდნიკთან ვეღარას გახდა.

პიტერ ზაიზენბახერს წინასწარვე ჰქონდა დაგეგმილი, რომ ნაკრებს ჰოლანდიიდანიაპონიაში წაიყვანდა, ერთობვლივ წვრთნებზე. ლაშა შავდათუაშვილი აზიურ სიაში ვერ მოხვდა, მაგრამ ამსტერდამიდან შინ დაიმედებული დაბრუნდა.

„მწვრთნელმა პირდაპირ მკითხა, გავუძლებდი თუ ვერა მის დატვირთვებს. ვუთხარი, რომ მზად ვიყავი და დამპირდა — ამჯერად განაცხადში არ ხარ, მაგრამ შემდეგ შეკრებაზე გუნდთან ერთად მოემზადებიო,“ – გაიხსენა ლაშამ ოლიმპიური თამაშების შემდეგ, ერთ-ერთ ინტერვიუში.ნაკრების უმთავრესი კანდიდატების იაპონური მზადების პარალელურად, შავდათუაშვილი გორში, მშობლიურ დარბაზში ვარჯიშობდა კიდევ უფრო მეტი მონდომებით და გაზრდილი დატვირთვებითაც. წინ ხომ ზაიზენბახერის წვრთნები ელოდა.თუმცა დაპირებულ სანაკრებო შეკრებაში ჩართვამდეახალგაზრდა ძიუდოისტის მთავარი ამოცანა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე ღირსეული გამოსვლა იყო.უნდოდა, პირველ ყოვლისა,შიდა კონკურენციაში დაემტკიცებინა, რომ ახალგაზრდებს შორის მიღწეული წარმატებების შემდეგ უფროსებთანბრძოლისთვისაც მზად იყო.

სპორტკომპლექს “არენას” დარბაზში გამართულ საქართველოს პირველობაზე ლაშამ რამდენიმე შთამბეჭდავი შეხვედრა ჩაატარა და მაყურებლებიაღაფრთოვანა ქართველი ძიუდოისტებისთვის არც თუ საყვარელი და დამახასიათებელი საჭიდაო სტილით — შებოჭვითდა მტკივნეული ილეთებით ჩოქბჯენში მოგებული ბრძოლებით. თავად კი ვერ დარჩა ბოლომდე კმაყოფილი — ჩემპიონობის შანსი მინდია ლილუაშვილთან

წაგებით დაკარგა და საბოლოოდ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

„უფროსებში ახალი გადასული ვარ და, რა თქმა უნდა, სამეულში მოხვედრაც ნორმალური შედეგია, მაგრამ ვფიქრობ, უკეთესად ჭიდაობა შემიძლია.ვეცდებიეს თბილისის „მსოფლიოს თასზე“ დავამტკიცო,“ – ეს კომენტარი ახალგაზრდა ბრინჯაოს პრიზიორმა მედლის მოპოვებიდან რამდენიმე წუთში, „მსოფლიო სპორტთან“ საუბრისას გააკეთა.

2012 წლის სეზონი ნაკრებმა 2-კვირიანი ავსტრიული შეკრებით გახსნა. ზაიზენბახერმა შავდათუაშვილს დაპირება შეუსრულა და 12-კაციან შემადგენლობაში ჩაწერა. ავსტრიელმა სპეციალისტმა რამდენიმეთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, განაცხადში შალვა ქარდავაც შეიყვანა, რომელიც სავარჯიშოდ უკვე მზად იყო.

უცხოურ შეკრებას თბილისური “მსოფლიოს თასი” მოჰყვა. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სპორტის სასახლის ტატამზე გასასვლელად 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში შავდათუაშვილს, ქარდავას, დავით ასუმბანს და საქართველოს ჩემპიონ სანდრო იაკობაშვილს უხმო.

თბილისში გაჩემპიონება სალიცენზიო მარათონში 100 სარეიტინგო ქულას იძლეოდა და გამომდინარე იქედან, რომ სალონდონე ქვოტაში მოხვედრის ყველაზე რეალური შანსი ქარდავას ჰქონდა, გულშემატკივრები განსაკუთრებული ინტერესითმის გამოსვლას ელოდნენ. ასუმბანი მსოფლიოს რეიტინგ-სიაში ასეულთან ტრიალებდა, მაგრამ გარკვეული იმედები მის ოლიმპიურ შანსებზეც მყარდებოდა. სულ რაღაც 24-ქულიანი შავდათუაშვილი კი ჯერ მხოლოდ პერსპექტიულ ძიუდოისტად მიიჩნეოდა, რომელსაც ქართული ძიუდო ლონდონის ოლიმპიადისშემდგომ ტურნირებზე უნდა ესახელებინა, რადგან ოლიმპიადის საგზურების გათამაშების დასრულებამდე დარჩენილ რამდენიმე ტურნირზე საჭირო რაოდენობის ქულების აკრეფა წარმოუდგენლად რთული იყო. მაშინ ყველა ასე ფიქრობდა, თავად ლაშა შავდათუაშვილის გარდა.

თბილისის „მსოფლიოს თასის“ შემდეგ საერთო განწყობა აბსოლუტურად შეიცვალა – კარალეთელმა ძიუდოისტმა უფროსებს შორის პირველი საერთაშორისო ტურნირის მოგებით და, რაც მთავარია, ნამდვილი

საჩემპიონო ჭიდაობით ყველა აალაპარაკა.

„შიდასანაკრებო კონკურენციის ფავორიტებად მიჩნეული ქართველი ძიუდოისტების წარუმატებლობის მიუხედავად, 66 კილოგრამი წონითი კატეგორია მაინც მასპინძელთა კარნახით წარიმართა. ხანგრძლივი ტრავმიანობის შემდეგ ტატამზე დაბრუნებული შალვა ქარდავა ტურნირში პირდაპირ მეორე წრიდან ჩაერთო და ყაზახ აზამატ მუკანოვთან მტკივნეული ილეთით დამარცხდა. სამეულს მიღმა დარჩა ნაკრების ასევე ერთ-ერთი რეალური კანდიდატი დავით ასუმბანიც, ოღონდ მან, ქარდავასგან განსხვავებით, მეოთხედფინალამდე მისვლა მაინც შეძლო და საბოლოოდ მე-7 ადგილი დაიკავა.ფინალში კი ერთმანეთს საქართველოს ჩემპიონი სანდრო იაკობაშვილი და ახალგაზრდებს შორის ევროპირველობის მომგები ლაშა შავდათუაშვილი დაუპირისპირდნენ. გადამწყვეტ შეხვედრამდე ორივე შთამბეჭდავი გამარჯვებებით მივიდა. იაკობაშვილმა უნგრელი ბენც ზამბორი, კანადელი მაიკლ პოპიელი და ყირგიზი ისლამ ბაიალინოვი იპონ-იპონ ჩამოიცილა. ნახევარფინალში კი ყაზახი აზამატ მუკანოვი ფეხში შესვლის წესის დარღვევის გამო მოუხსნეს. ანალოგიური დარღვევის გამო მოიპოვა ფინალის საგზური შავდათუაშვილ-

მაც უკრაინის სახელით მოჭიდავე გევორქ გევორქიანთან დაპირისპირებისას, იქამდე კი, აზერბაიჯანელი სამირ ხანკშიევი იპონით, ხოლო ლატვიელი დენის კოზლოვსი და იასპერ დე იონგი თითო იუკოთი ჩამოიშორა. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ლაშა შავდათუაშვილის საოცრად გააზრებული და ტაქტიკურად აბსოლუტურად გამართული ჭიდაობის ხილვა. ეს ახალგაზრდა ბიჭი პარტერში ჭიდაობითაც გამორჩეულია საქართველოს ნაკრების წევრთაგან, არც ტექნიკასა და „ფიზიკაში“ უჭირს და ეს ფინალშიც დაამტკიცა. იაკობაშვილს ორი იუკოთი აჯობა („მსოფლიო სპორტი“).

თბილისური ტურნირის დასრულებიდან რამდენიმე დღეში ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიოს განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა. შავდათუაშვილი „მსოფლიოს თასის“ ჩემპიონობამ 129-ე ადგილიდან 63-მდე დააწინაურა, მაგრამ ოლიმპიურ ქვოტაში შესვლა ამ წარმატების გათვალისწინებითაც კი ჯერ კიდევ წარმოუდგენლად ჩანდა. მით უმეტეს, რომ ლაშათბილისის ტურნირის შემდეგ,ზუსტად ერთ კვირაში – 4-5 თებერვალს, პარიზში გასამართ „დიდ სლემზე“ დასაყენებელ ქართულ შემადგენლობაშიც ვერ მოხვდა.ფრანგულ ტატამზექარდავა

გავიდა და ტურნირს მეთექვსმეტედფინალიდან გამოეთიშა, რითაც პირად რეიტინგს 24 ქულა შემატა და 47-ე პოზიციაზე დამკვიდრდა. ლაშა ისევ 63-ე ადგილს იკავებდა. შიდა კონკურენციისთვის ამ ციფრებს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. გადამწყვეტი არა თანამემამულე კონკურენტის გასწრება, არამედ საუკეთესორეიტინგიან 22 ძიუდოისტს შორის მოხვედრა იყო. თუ ამას ერთი ქვეყნიდან ორი ან მეტი ძიუდოისტი შეძლებდა, მაშინ მათ შორის საუკეთესოს არჩევის უფლება ნაკრების მწვრთნელს ეძლეოდა.

პარიზის „დიდ სლემს“ ობერვარტის „მსოფლიოს თასი“ (11-12 თებერვალი) მოჰყვა, რომელიც 66 კილოგრამში მოჭიდავე ქართველებისთვის ძალიან წარუმატებელი გამოდგა. ლაშა შეჯიბრებას პირველივე შეხვედრის შემდეგ გამოეთიშა. არადა, მონღოლ ტუმურხულეგ დავაადორჟს ბოლო წამებამდე უგებდა და მაშინ, როცა ყველაფერი დასრულებული ეგონა, მოულოდნელად, წამგებიანი ვაზარი გამოეპარა.გერმანიაში ნათლად გამოჩნდა, რომ ნიჭიერ ახალგაზრდას უფროსებს შორის თავის დასამკვიდრებლად პირველ ყოვლისა სატურნირო გამოცდილება აკლდა. ასევე უშედეგო გამოდგა მომდევნო შაბათ-კვირის (18-19 თებერვალი) დიუსელდორფის „დიდი პრიზი,“ ოღონდ ამჯერად ლაშამ ერთით მეტი ბრძოლის ჩატარება მოახერხა. კიდევ ერთ კვირაში კი, პრაღის „მსოფლიოს თასზე“ საჩემპიონო ჭიდაობა აჩვენა — ტატამზე ექვსჯერ გავიდა და ექვსივე შეხვედრაში იმარჯვა.

ჩეხურ „ოქროს გზაზე“ პირველ მეტოქეს — ფინელ ნიკო ტაპიო ნიემელას მაქსიმალურად ფრთხილი და ტაქტიკურად გამართული ჭიდაობით, იუკოთი აჯობა. ანალოგიური ილეთითვე გასცდა მონღოლ ბუუვებაატარ კიშინგბაიარსაც. ებრაელ გოლან პოლაკთან შეხვედრაში სულ რაღაც სამ წუთში ყველა შეფასების ილეთის შესრულება მოასწრო, ფრანგ კლემენტ სზუკიევიჩსა და სამხრეთკორეელ იონგ-ჰვან ანს ოთხ-ოთხი წუთი აკმარა. გადამწყვეტ შეხვედრაში კი ბელარუს დმიტრი შერშანს უნდა დასჭიდებოდა და მეტოქე არ გამოუცხადდა.

„შავდათუაშვილმა პრაღიდან ლონდონს გახედა“ – წერდა ჩეხური ტურნირის შეჯამებისას ერთ-ერთი ქართული სპორტული გამოცემა. ერ-

თთვიან ინტერვალში მეორე „მსოფლიოს თასის“ მოგებით ლაშა მსოფლიოს რეიტინგ-სიაში კიდევ გვარიანად დაწინაურდა და ოლიმპიურ თამაშებზე გამგზავრების რეალური შანსიც გამოიკვეთა, ოღონდ მიზნის მისაღწევად კიდევ ერთი მძიმე ბრძოლის გადატანა სჭირდებოდა – ლონდონის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო რეიტინგის ათვლა ევროპის ჩემპიონატით სრულდებოდა, რომელიც პრაღის „მსოფლიოს თასიდან“ორ თვეში, რუსეთის ქალაქ ჩელიაბინსკში უნდა გამართულიყო.

ეს ორი თვე ლაშა შავდათუაშვილმა ნაკრების სხვა წევრებთან ერთად ძირითადად უცხოურ შეკრებებში გაატარა. გუნდი ჩეხეთიდან პირდაპირ იაპონიაში გაემგზავრა და თითქმის სამი კვირის განმავლობაში ერთობლივვარჯიშებში მონაწილეობდა. შემდეგ სამხრეთ კორეაში გადაინაცვლა, მორიგ ერთობლივ წვრთნებში ჩასართავად. აზიურ მზადებას ზაიზენბახერმა თითოკვირიანი გერმანული და მონღოლური შეკრებები მოაყოლა და ჩელიაბუნსკში გასამართ ევროპირველობაზე წასაყვანი ორი შემადგენლობაც დაასახელა. ავსტრიელმა სპეციალისტმა მოლოდინისამებრ, განაცხადი იმ სპორტსმენებით შეავსო, რომლებიც წინასატურნირო შეკრებებზე ატარა. გამონაკლისი მხოლოდ ირაკლი ცირეკიძისთვის დაუშვა, რომელმაც ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციისგან მიღებული 3-თვიანი დისკვალიფიკაცია ზედ ევროპის ჩემპიონატის წინ მოიხადა.

ჩელიაბინსკური ევროპირველობიდან ძიუდოს ქართველი გულშემატკივარი გამორჩეული ინტერესით ლაშა შავდათუაშვილის გამოსვლას ელოდა. წინასწარვე გარკვეული იყო, რომ მას მერვედფინალში გასვლითაც შეიძლებოდა გაენაღდებინა ლონდონის საგზური, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ორი უმთავრესი კონკურენტი: ებრაელი გოლან პოლაკი და ლატვიელი დენის კოზლოვსი წინასწარი ეტაპიდანვე გამოეთიშებოდნენ შეჯიბრებას.რუსეთში გამგზავრების წინ ნაკრების მწვრთნელმა გიორგი ვაზაგაშვილმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ ამ ვარიანტის იმედად ყოფნას არავინ აპირებდა დაშავდათუაშვილს მიზნის მიღწევა თავისი ჭიდაობით შეეძლო.

წილისყრაში ლაშასნამდვილად არ გაუმართლა - პირველსავე წრეში სომეხ ევროპის ჩემპიონს, არმენ ნაზარიანს დაუპირისპირდა. ფავორი-

ტი, რაღა თქმა უნდა, ნაზარიანი იყო, მაგრამ შავდათუაშვილმა განძრევის საშუალება არ მისცა. მართალია, ილეთი არც თავად შეუსრულებია, მაგრამ მეტოქის ორი გაფრთხილების ხარჯზე იმარჯვა და მერვედფინალში გავიდა. ამავე ეტაპზე იჭიდავეს პოლაკმა და კოზლოვმაც. ჩვენდა გასახარად, ორივემ უმალ წაიფორხილა, შავდათუაშვილმა კი უკრაინელი სერგეი დრებოტი ორ წუთში დასცა ბეჭებზე და ოლიმპიური ლიცენზიაც გაინაღდა.

ეს ძირითად ბადეში მოპოვებული ბოლო გამარჯვება აღმოჩნდა ქართველი ძიუდოისტისთვის–მეოთხედფინალში მსოფლიოს რეიტინგის მეორეადგილოსან ალიმ გადანოვთან დაპირისპირების შემდეგ რეპეშაჟში გადაერთო. ამ მარცხის მიზეზი არა რუსი ძიუდოისტის რეალური უპირატესობა, არამედ ტატამის მსაჯის არაობიექტური გადაწყვეტილებები აღმოჩნდა. მან მასპინძელთა გულის მოსაგებად,შავდათუაშვილი ოთხჯერ გააფრთხილა და გამარჯვებულად რუსი გამოაცხადა. არადა, შიდოებს გადანოვი უფრო იმსახურებდა, რომელიც მოწინააღმდეგეზე მეტად პასიური იყო.დამამშვიდებელ ეტაპზე ლაშამ ესპანელი სუგოი ურიარტე და ფრანგი დავიდ ლაროში დაამარცხა დ□ეროვნულ ნაკრებში ევროდებიუტი ბრინჯაოს მედლით აღნიშნა. სამიოდ დღეში შავდათუაშვილი ჩელიაბინსკურ ტატამზე კიდევ გავიდა და მორიგი წარმატებით გაიხარა – ამჯერად ევროპის გუნდურ პირველობაზე საქართველოს ნაკრების გაჩემპიონებით.

„უსაზღვროდ გახარებული ვარ. გარდა იმისა, რომ ლიცენზია გავინაღდე, ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონი გავხდი. □□ ჩემპიონა-

ტი არასოდეს დამავიწყდება. შევძელი და მივაღწიე იმას, რის□ც მგონი არავის სჯეროდა. სიმართლე გითხრათ, ოთხი თვის წინ ჩემთვისაც ძნელი დასაჯერებელი იყო სალიცენზიო სიაში მოხვედრა. ასე უცებ დაიწყო ახალი ეტაპი ჩემს ცხოვრებაში. უკვე ძირითადი ნაკრების წევრი ვარ და წინ მელის ტურნირი, რომელზე გამოსვლაც ჩემი უდიდესი ოცნებაა– ოლიმპიური თამაშებ□," – თქვა რუსეთიდან დაბრუნებულმა ლაშა შავდათუაშვილმა თბილისის აეროპორტში გაკეთებულ კომენტარში.

საქართველოს ნაკრების წევრთაგან ოლიმპიური ნორმატივიათმა ძიუდოისტმა შეასრულა. შვიდი წონითი კატეგორიიდან ოთხში ლონდონში წამსვლელის ვინაობა უკვე დაზუსტებული იყო, რადგან ამ წონებში ლიცენზიისთვის საჭირო ქულები□□ღ□□□ თითო ქართველმა ძიუდოისტმა შეძლო. 66 კილოგრამში ოლიმპიადა ლაშა შავდათუაშვილმა გაინაღდა, 73-ში – ნუგზარ ტატალაშვილმა, 81-ში – ავთანდილ ჭრიკიშვილმა, 90-ში – ვარლამ ლიპარტელიანმა. დანარჩენ სამ წონაში კი ნაკრების მთავარ მწვრთნელს არჩევანი ორ-ორ კანდიდატს შორის უნდა გაეკეთებინა: 60 კილოგრამში ამირან პაპინაშვილსა და ბეთქილ შუკვანს, 100-ში – ლევან ჟორჟოლიანსა და ირაკლი ცირეკიძეს, ხოლო +100-ში — ადამ ოქრუაშვილსა და ზვიად ხანჯალიაშვილს შორის.

პიტერ ზაიზენბახერმა რჩეული ათეული ევროპირველობის დასრულებიდან რამდენიმე დღეში ალჟირში წაიყვანა, სარეაბილიტაციო ხასიათის შეკრების გასავლელად, დატვირთვებზე კი გუნდი მორიგი აზიური შეკრებებით გადაიყვანა. ერთკვირიან იაპონურ ვარჯიშებს ასევე ერთკვირიანი სამხრეთკორეული წვრთნები მოჰყვა. იქედან ნაკრები

ისევ იაპონიაში დაბრუნდა და კიდევ ორი კვირა ტოკაის უნივერსიტეტის დარბაზში ივარჯიშა. ერთთვიანი აზიური ტურნე 5 ივნისს დასრულდა. საქართველოს ნაკრები თბილისში დაბრუნდა და ორიოდ დღეში უკვე ბრაზილიაში გაემგზავრა, რათა 9-10 ივნისს გასამართ რიო დე ჟანეიროს „დიდ სლემზე“ ეჭიდავა.

ოლიმპიურ თამაშებამდე თვენახევარი რჩებოდა და შეგირდების დატვირთვისგან სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებების მწვრთნელთა უმეტესობამ თავი შეიკავა, პიტერ ზაიზენბახერის გარდა. თვით მასპინძლებმაც კი ლიდერების გარეშე შეავსეს 28-კაციანი განაცხადი და წილისყრაზევე გამოჩნდა, რომ მედლების უმთავრესი ფავორიტები სწორედ ქართველები და ბრაზილიელები იქნებოდნენ.საბოლოოდ,ჩვენმა ნაკრებმა 4 ოქროს და 6 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. შავდათუაშვილი ორი შეხვედრის მოგების შემდეგ რუს დენის ლავრენტიევთან დამარცხდა და კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდა.

რიო დე ჟანეიროს „დიდ სლემს“ რამდენიმედღიანი ბრაზილიური ერთობლივი წვრთნები მოჰყვა და მასში ქართველებმაც მიიღეს მონაწილეობა, უახლოეს შაბათ-კვირას კი უკვე არგენტინაში გადაინაცვლეს და ბუენოს-აირესის „მსოფლიოს თასზე“შთამბეჭდავი შედეგი აჩვენეს – ტატამზე ბეთქილ შუკვანი, ლაშა შავდათუაშვილი, ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან ჟორჟოლიანი და ადამ ოქრუაშვილი გავიდნენ და ხუთივე ჩემპიონი გახდა. ლაშამ ხუთიდან ოთხი ორთაბრძოლა წმინდად მოიგო. ქართველებს ძლიერი მეტოქეები ნამდვილად არ შეხვედრიათ, მაგრამწინასაოლიმპიადო მოსამზადებელ გეგმაში შეტანილი ბოლო ტურნირის ასე იმედიანად ჩამთავრება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კარგი მუხტი იყო. მეორე საკითხია, რამდენად გამართლებული იყო უმნიშვნელოვანესი შეჯიბრების წინ გაუთავებელი ხანგრძლივი მგზავრობები და რამდენიმე თვის წინანდელისგან საგრძნობლად შემსუბუქებული, მაგრამ ზოგადად მაინც დამქანცველი ფიზიკური დატვირთვები.

„მართლაც დიდი დატვირთვებით ვემზადებოდით, მაგრამ კატასტროფულს იმ რეჟიმს ნამდვილად ვერ დავარქმევ. პირადად ჩემთვის სასარგებლოც კი იყო. განსაკუთრებით უცხოური შეკრებები. ერთობლივი

ვარჯიშების გამოცდილება რომ არა, ოლიმპიური ჩემპიონი ვერ გავხდებოდი. თითქმის ყველა უძლიერეს ძიუდოისტს ვიცნობდი და ვიცოდი, ვისთან როგორ უნდა მეჭიდავა. ჩემი ნაკრებში ყოფნის დროს უკვე ბიჭებიც ნაკლებად უჩიოდნენ ზაიზენბახერის დატვირთვებს. ამბობდნენ, რომ მწვრთნელი თავადვე მიხვდა თავის ძველ შეცდომებს და უფრო დამთმობი გახდა. ცხადია, მცირე კონფლიქტური სიტუაციები კიდევ იყო, მაგრამ სერიოზული არაფერი," – იხსენებს შავდათუაშვილი.

მუდმივად ბეჯითად მოვარჯიშე ახალგაზრდა სპორტსმენი ისედაც მძიმე ვარჯიშების შემდეგ, მწვრთნელისგან მალულად,დამატებით ვარჯიშობდა და მანამდე არ დაისვენებდა, ვიდრე სასტუმროს ნომერში ხელებზე ათას აზიდვას არ გააკეთებდა. ზაიზენბახერს მხოლოდ ერთხელ სთხოვა, ძალიან გადავიღალე, მეშინია ტრავმა არ გავიმიზეზო, რამდენიმე ვარჯიშზე შედარებით ნაკლებად დამტვირთეო და პირველმა კონფლიქტმაც არ დაახანა. ეს ბრაზილიური შეკრებისას მოხდა. ნაკრების ექიმის, ზურაბ კახაბრიშვილის თქმით, რიო დე ჟანეიროში გამოჩნდა, რომ ავსტრიელი სპეციალისტი ლაშას ოლიმპიური თამაშების წინ მხოლოდ რიგით მონაწილედ მოიაზრებდა და მისგან შედეგს არ ელოდა.

ზურაბ კახაბრიშვილი: „ლაშამ საქართველოს ნაკრების ძირითად შემადგენლობასთან ერთად პირველი შეკრება ავსტრიაში გაიარა. პირველ ყოვლისა, ყურადღება კარგი პიროვნული თვისებებით მიიქცია, საქმეში კი თავიდანვე ყველასთვის მისაბაძი იყო. თითოეულ ვარჯიშს ისეთი მონდომებით უდგებოდა, თითქოს იმ კონკრეტული ვარჯიშის შემდეგ პირდაპირ დიდი ტურნირი ჰქონდა საჭიდაო. ერთ დღეს პიტერ ზაიზენბახერმა მთელი ნაკრები თხილამურებზე დააყენა და 15-კილომეტრიანი მარათონი მოუწყო. ლაშამ დისტანცია პირველმა დაფარა, არადა, თხილამურებზე პირველად იდგა. ღიმილით მითხრა — პირველი მოვედი და იქნებ ოლიმპიადაზეც მოვხვდეო. თბილისის "მსოფლიოს თასზე" გაჩემპიონების შემდეგ პირადი რეიტინგი საგრძნობლად გაიუმჯობესა, მაგრამ ავსტრიულ და გერმანულ ტურნირებზე მიზანს ვერ მიაღწია. ამას გერმანულ შეკრებაზე მიღებული მუხლის სერიოზული ტრავმაც დაერთო. თან სარეაბილიტაციო კურსს გადიოდა, თან თავდაუზოგავად ვარჯიშობდა.

ევროპის ჩემპიონატის წინ, მონღოლურ შეკრებაზე რამდენიმეჯერ დასჭირდა ნემსის გაკეთება, მაგრამ ერთი ვარჯიშიც არ გამოუტოვებია. ცაგაანბაატარ ჰაშბაატართან უწევდა სპარინგები და აბა, ამ შანსს ხელიდან როგორ გაუშვებდა. ტკივილი ევროპის ჩემპიონატზე ჭიდაობის დროსაც აწუხებდა, მაგრამ უძლებდა. არიან სპორტსმენები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო დახმარება გაწეული აქვთ, პრობლემას ფსიქოლოგიურად მაინც ვერ უმკლავდებიან. ლაშა შავდათუაშვილი კი სარეაბილიტაციო პროცესში თავადვე მონაწილეობდა.მუხლის გარდა, საზარდულის თიაქარის ტრავმაც აწუხებდა, რომელიც ჯერ კიდევ ძირითად ნაკრებში დამკვიდრებამდე მიიღო. ოპერაცია სჭირდებოდა, მაგრამ რომ გაეკეთებინა,ოლიმპიადაზე ფიქრიც იქვე უნდა დაესრულებინა. ამიტომ რისკის ფასად აგრძელებდა ვარჯიშს. მთელი მოსამზადებელი ციკლი სპეციალური სპორტული ბანდაჟით ჩაატარა, რაც ტრავმის გამიზეზების საშიშროებას ამცირებდა.

...დაიწყოოლიმპიადისთვის მოსამზადებელიდასკვნითი ციკლი. ბრაზილიურ შეკრებაზე, რიო დე ჟანეიროში, ქრისტეს ქანდაკება მოვინახულეთ და შევნიშნე, თავისთვის რაღაც ჩაილაპარაკა. გამიმხილა, მადლობა გადავუხადე, ოლიმპიურ თამაშებზე რომ მოვხვდიო. მაშინ მედალზე ჯერ არ ფიქრობდა, მაგრამ უცხოურ შეკრებებზე, ერთობლივი წვრთნებისას მსოფლიოს უძლიერესი ძიუდოისტების მხარდამხარ ვარჯიშმა დიდი გამოცდილება შესძინა. თავისი ძალებისაც მეტად ირწმუნა და მიხვდა, რომ 66 კილოგრამში ისეთი არავინ იყო, ვისთანაცტოლსწორად ჭიდაობას ვერ შეძლებდა. თვითონვე მითხრა, ოლიმპიადისთვის მოსამზადებელი ციკლის ბოლოს, ყველანაირი ტვირთი მოხსნილი მაქვსო.

ბრაზილიური შეკრებიდან საინტერესო ისტორია მახსენდება. ერთი დატვირთული სავარჯიშო დღის ბოლოს პიტერ ზაიზენბახერს ვთხოვე, ბიჭებს კოპაკაბანას პლაჟზე გავიყვან, ცოტას განიტვირთებიან და თან ფეხბურთსაც ვათამაშებ-მეთქი. დამთანხმდა, მაგრამ თვითონ არ წამოვიდა, მე ძიუდოს მწვრთნელი ვარ, და არა ფეხბურთისო. ლაშამ მთხოვა, ქვიშაზე მუხლის ტრავმა არ გავიმიზეზო, თუ შეიძლება არ გამოგყვებით და ტრენაჟორის ბილიკზე ვირბენო. მთავარ მწვრთნელს ესეც შევატყო-

ბინე და განაწყენდა, რაც უნდა ის ქნასო. ლაშაც ხვდებოდა, რომ ზაიზენ-ბახერს მისი შესაძლებლობის არ სჯეროდა და ერთხელ პირდაპირ მიახა-ლა – პიტერ, შენ ჩემი იმედი არ გაქვს, მაგრამ მე ოლიმპიადას მოვიგებო. უნდა გენახათ მწვრთნელის გაოგნებული სახე.

ლონდონში, ოლიმპიურ ხალიჩაზე გასვლის წინ შავდათუაშვილმა რიო დე ჟანეიროში, ქრისტეს ქანდაკებასთან ნათქვამი სიტყვები გამახსენა – მაშინ ოლიმპიური ლიცენზიის აღება მიხაროდა, ახლა კი გაცილებით მე-ტისთვის ვარ მზადო.გადიოდა ტატამზე და მაქსიმუმს აკეთებდა. ისეთი მობილიზებული და მშვიდი იყო, ნებისმიერ გამოცდილ სპორტსმენს რომ შეშურდება. ბრძოლებს შორის კი სულ ყურსასმენები ეკეთა და ქართულ ხალხურ სიმღერებს უსმენდა. ფინალის წინ თითი ჰქონდა გაკაწრული და შევუთანხმდი, თუ გაუჭირდებოდა, ტრავმის მომიზეზებით — ვითომ ჭრილობა გაეხსნა და სისხლი წამოუვიდა — დახმარებას მოითხოვდა. წუთნახევარი იყო დარჩენილი, დაღლა დაეტყო და დავუძახე, „სისხლი“-მეთქი. მანიშნა, არ მინდაო, არადა, ცოტა სარისკო მომენტი იყო. ჩემპი-

ონობა რომ ვიზეიმეთ, მერე მითხრა – მე კი დავიღალე, მაგრამ მეტოქეც ძალიან დაღლილი იყო და არ მინდოდა დამესვენებინა, უკვე დაჩაგრული მყავდაო. ესეც ძალიან ჭკვიანური და, რაც მთავარია, ვაჟკაცური სვლა იყო მისი მხრიდან."

დავუბრუნდეთ ოლიმპიადამდელ ამბებს. შავდათუაშვილის თხოვნამ ზაიზენბახერი ისე გააღიზიანა, მისი შეკრებიდან მოხსნა და საქართველოში გაშვება დააპირა, მაგრამ ძიუდოს ფედერაციის მაშინდელ ხელმძღვანელობასთან საუბრის შემდეგ გადაიფიქრა. ლაშას სრული დატვირთვით ვარჯიში აღარ დააძალა, მაგრამ წყენა დიდხანს ვერ დაივიწყა და ბუენოს-აირესის „მსოფლიოს თასზე" გაჩემპიონებამდე... ხმას არ სცემდა.

აფრიკულ-აზიურ-სამხრეთამერიკული შეკრებების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა ევროპაშიც წაივარჯიშა –ჯერ ჩეხეთის, შემდეგ კი ესპანეთის კემპებში ჩაერთო, რომლებიც ევროპის ძიუდოს ფედერაციის მიერ იყო ორგანიზებული. წინასაოლიმპიადო მოსამზადებელი ციკლის დასკვნითი შეკრება კი ბორჯომში ჩატარდა, თუმცა იქამდე ზაიზენბახერმა ლონდონში წასაყვანი სრული შემადგენლობა დაასახელა. წინასწარვე გარკვეულ ოთხეულს: შავდათუაშვილს, ტატალაშვილს, ჭრიკიშვილსა და ლიპარტელიანს, შუკვანი, ჟორჟოლიანი და ოქრუაშვილი მიამატა, თუმცა პრესკონფერენციაზე გამოაცხადა, გუნდი ბოლომდე ჩემი სურვილით დაკომპლექტებული არ არის, რადგან ირაკლი ცირეკიძე განაცხადში შეყვანაზე ვერაფრით დავითანხმეო.

პირველი ქართული ოლიმპიური დელეგაცია ბრიტანეთში 25 ივლისს გაემგზავრა. ძიუდოისტებიც ამ ჯგუფში იყვნენ, რადგან ოლიმპიურ თამაშებში ერთ-ერთი პირველები უნდა ჩართულიყვნენ. გამგზავრების წინა საღამოს შავდათუაშვილების ოჯახში გამოსამშვიდობებელი სუფრა გაიშალა. ლაშას წარმატება უახლოესმა ადამიანებმა უსურვეს. ყველაზე საინტერესო მამაშვილური დარიგება იყო: „გზა დავულოცე და რამდენიმე რჩევა მივეცი. ვუთხარი, რომ ოლიმპიური თამაშები აბსოლუტურად განსხვავებული ხასიათის ტურნირი იყო და ჩემპიონობისთვის ბრძოლა რეალურად შეეძლო, – გაიხსენა ნაოლიმპიადევს გენადი შავდათუაშვილმა

და იქვე ერთი საიდუმლოც გაამხილა –ლაშას ხუმრობით ვუთხარი, ყოველი შეხვედრის მოგების შემდეგ სიხარული ცერა თითის ჩვენებით გამოეხატა და კარალეთში მივხვდებოდი, რომ ეს ჟესტი მე მეძღვნებოდა. ტელევიზორში აღარ დავკვირვებივარ, ან კი სად მქონდა მაგის თავი, ნერვიულობისგან მეგონა მოვკვდებოდი. ის საუბარი მხოლოდ ოლიმპიადის შემდეგ გამახსენდა, ლონდონური სურათების დათვალიერებისას,როცა ცერშემართული ლაშას არაერთი ფოტო აღმოვაჩინე."ოლიმპიურ ტატამზე ლაშა შავდათუაშვილის გასვლას წინ ორი უცნაურობა უძღვოდა.

დედის სიზმარი. თეა შავდათუაშვილი: „ოლიმპიადის წინ დამესიზმრა, რომ ლაშა მაღალი მთის მწვერვალზე იდგა. ასეთივე ხასიათის სიზმარი პირველად ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატამდე ვნახე და რამდენიმე დღეში ოქროს მედალი მოიგო. მეორედ კი ოლიმპიადამდე სამი თვით ადრე, ევროპის ჩემპიონატის წინ პირდაპირ დამესიზმრა, რომ კვარცხლბეკის შედარებით დაბალ საფეხურზე იყო ასული. მართლაც, მესამე ადგილზე გავიდა. რაოდენ სასწაულიც არ უნდა იყოს, სიზმარი სამივე შემთხვევაში ამიხდა."

უცხო ფრინველი. გენადი შავდათუაშვილი: „ლაშას 29 ივლისს უნდა ეჭიდავა. წინა დღეს თეა ჩემს ძმასთან წავიდა სტუმრად. სახლში მარტო ვიყავი, ვიღაცამ ფანჯარაზე რომ დააკაკუნა. თხელი ფარდის მიღმა შუშაზე უცნაურადმომჯდარი ჩიტი შევნიშნე. ისეთი ფრინველი იქამდე ერთხელაც არ მენახა. შუშას ნისკარტს ურტყამდა. ფარდა რომ გადავწიე, არ გაფრინდა.კარგახანს გაოგნებული ვუყურებდი, როგორ მშვიდად აგრძელებდა თავის საქმეს.ასეთი ისტორია ვინმესგან რომ მომესმინა, არაფრით არ დავიჯერებდი, მაგრამ პირადად შემემთხვა და რაღაც კარგის ნიშნად ჩავთვალე. მოკლედ, ოქროს ამბავი ჩიტმა ერთი დღით ადრე მოგვიტანა."

მშობლებისთვის არანაკლებ მოულოდნელი იყო ტატამზე გასვლის წინა საღამოს შვილის თამამი დაპირება. როგორც წესი, ლაშა წინასწარი ოპტიმისტური განცხადებებისგან ყოველთვის თავს იკავებდა ხოლმე. იმ დღეს კი უცნაურად გახსნილი, თავდაჯერებული და მხიარული ჩანდა. სახლში კომპიუტერი და ინტერნეტი არ ჰქონდა და ოჯახის წევრებსლონ-

დონიდან ტელეფონით უკავშირდებოდა. იმ დღეს კი სკაიპის მეშვეობით ბიძას შეეხმიანა, რომელმაც სპორტსმენის მშობლებს დაურეკა და ასე დაალაპარაკა: „ძალიან კარგად ვარ. არც ზედმეტი წონა მაწუხებს. ერთი სული მაქვს, როდის გათენდება და ტატამზე როდის შევალ. თქვენ ტელევიზორთან დაჯექით და ისიამოვნეთ," – უთხრა დედ-მამას მომავალმა ჩემპიონმა.

* * *

2012 წლის 28 ივლისი. ლონდონი. საგამოფენო ცენტრი "ექსელი". ძიუდოისტთა ტურნირი რამდენიმე საათის დაწყებულია, მაგრამ დარბაზში მყოფი 50-მდე ქართველთაგან ტატამისკენ გახედვა აღარავის ეხალისება. ნახევარი საათია, ბეთქილ შუკვანმა მოგებული შეხვედრა საფინალო სირენამდე ხუთი წამით ადრე წააგო და ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლა ნაადრევად დაასრულა, თან მედლისთვის ბრძოლის რეალური შანსიც დაკარგა. დღის განრიგს ჩავკირკიტებ. იქნებ სხვა ქართველი სპორტსმენის ოლიმპიურ გამოსვლასაც მივუსწრო. ველომრბოლი გიორგი ნადირაძე საგზატკეცილო რბოლაში გამოდის, მოკრივე მერაბ თურქაძე კი ოლიმპიურ რინგზე უნდა ავიდეს. გადაწყვეტილება მივიღე და ფოიეში გამოვედი. უცებ დარბაზი აგუგუნდა. გულმა არ მომითმინა და ისევ შევბრუნდი. სომეხი ჰოვანეს დავთიანი აზერბაიჯანელ ილგარ მუშკიევს ხვდებოდა. ჟურნალისტებისთვის განკუთვნილი ლოჟისკენ აღარ წავსულვარ. იქვე, გულშემატკივრების ტრიბუნას მივაშურე და... საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მწვრთნელ გიორგი ვაზაგაშვილისა და ჯერ კიდევ უტიტულო ლაშა შავდათუაშვილის გვერდით აღმოვჩნდი. ლაშას მეორე დღეს უნდა ეჭიდავა და არ მესიამოვნა, 20 წლის გამოუცდელი ძიუდოისტი ტატამზე გასვლამდე ერთი დღით ადრე ასეთ იმედგაცრუებას რომ შეესწრო. გადავწყვიტე, ცოტა ხასიათზე მომეყვანა – ხვალ უნდა ივაჟკაცო. ჯერ არავინ გიცნობს, შენგან დიდ წარმატებას არავინ ელოდება და ზუსტად ამით უნდა ისარგებლო. ეს ოლიმპიადაა, ყველაზე არაპროგნოზირებადი შეჯიბრება-მეთქი. მორცხვად ჩაიღიმა - რაც შემეძლებაო...

ვაზაგაშვილი შემობრუნდა: სხვების არ ვიცი და, პირადად მე მაგარ ხვალინდელ დღეს ველოდებიო. მერე ლაშას უთხრა: „დამიჯერე, ოლიმპიადა გაცილებით ადვილი მოსაგებია, ვიდრე პარიზის საერთაშორისო ტურნირი. მთავარია, ფსიქოლოგიურად იყო მზად პირველიდან ბოლო შეხვედრამდე და დანარჩენი ყველაფერი გამოგივა.“ მომავალმა ჩემპიონმა მწვრთნელს აბსოლუტურად მშვიდად მიუგო - სანერვიულო რა მაქვსო...

ამას ალალად რომ ამბობდა, მეორე დღეს, 29 ივლისს დავრწმუნდი. ლონდონურ ტატამზე გასულ 20 წლის კარალეთელ ვაჟკაცს არც პატარა ასაკი ეტყობოდა და არც გამოცდილების ნაკლებობა. არადა, ზურგს უფროსებს შორის ჭიდაობის სულ რაღაც რვათვიანი გამოცდილება უმაგრებდა.ყველაზე დიდი სიურპრიზი ის შემართება იყო, რომელიც შავდათუაშვილის ჭიდაობისას აშკარად იგრძნობოდა. მსგავსი „ცივსისხლიანობით“ ბევრი უხვტიტულა ფალავანიც ვერ დაიკვეხნის. ქართველი ახალგაზრდა ტატამზე პირველიდან ბოლო წამამდე ისე აკეთებდა თავის საქმეს, ნერვიც არ ატოკებია.

საჩემპიონო გზას ჩილელი ალეხანდრო ზუნიგას ძლევით შეუყვა. მეტოქეს თავიდანვე მძლავრად შეუტია და ორი შიდოთი მიღებული იუკოს

უპირატესობით დაწინაურდა, მეორე წუთის მიწურულს კი წმინდა გდებით მოამთავრა საქმე.გავიფიქრე, ჩილელთან ჭიდაობა დასკვნის გამოსატანად საკმარისი მაინც არაა-მეთქი, მაგრამ როცა გაცილებით ძლიერი ძიუდოისტი — ფრანგი დავიდ ლაროში დამატებით დროში დააიპონა, მაშინ კი დავიჯერე, რომ ფსიქოლოგიურად მართლა მზად იყო. წინ კიდევ უფრო დიდი ზეწოლა ელოდა — მეოთხედფინალში ინგლისელ კოლინ ოუტსს დაუპირისპირდა და მეტოქეს და აგუგუნებულ დარბაზს ერთად აჯობა, თან ისევ ნერვების ბრძოლაში, „ოქროს“ დროში.

გადამწყვეტ ილეთამდე მსაჯებმა შავდათუაშვილს ვაზარი არ ჩაუთვალეს, რითაც ოუტსის წარმატებული სვლით გადარეული ბრიტანელი გულშემატკივრები კიდევ უფრო არანორმალურად აგუგუნდნენ. ცოტა ხანში გამოჩნდა, რომ თურმე მათთვისვე სჯობდა, ის გდება დაფიქსირებულიყო. ქართველმა ძიუდოისტმა მეტოქე შებოჭვაზე დაიჭირა და წმინდად მოიგო. არადა დამატებითი წუთებიც რომ უქულოდ ჩამთავრებულიყო, ჰანტეითი, სავარაუდოდ, ბრიტანელს მოაგებინებდნენ. მერე რა, რომ შავდათუაშვილი უფრო აქტიური იყო. ამგვარ უსამართლობას თუ შეცდომას “ექსელის” დარბაზში არაერთხელ გადავეყარეთ.

ნახევარფინალში ლაშა მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს მასაში ებინუმას უნდა დასჭიდებოდა. იქამდე ნახევარსაათიანი შესვენება გამოცხადდა და ისევ იმ ტრიბუნას მივაშურე, სადაც წინა დღეს ვაზაგაშვილს და შავდათუაშვილს ველაპარაკე. მწვრთნელი იმავე ადგილიდან ადევნებდა თვალყურს შეგირდის ჭიდაობას, გვერდით კი უკვე ნუგზარ ტატალაშვილი ეჯდა, რომელიც საქმეში მეორე დღეს უნდა ჩართულიყო. ვაზაგაშვილი ემოციებს ვერ მალავდა – ხომ გითხარი გუშინ, ლაშასი მჯერა-მეთქი. ამ დროს, თბილისიდან მეუღლემ დაურეკა. აღმოჩნდა, რომ საქართველოს ტელევიზიას ქართველი ძიუდოისტის არც ერთი შეხვედრა არ უჩვენებია. გიორგიმ დაწვრილებით მოუყვა, რაც ხდებოდა და დამშვიდობებისას სთხოვა, სანთელი დაანთეო.

ბრიტანელებზე არანაკლებად ხმაურობდნრენ იაპონელები, რომელთა სიმრავლემ და მხურვალე გულშემატკივრობამაც ერთხელ უკვე გამოიღო შედეგი – მეოთხედფინალში მათი ფალავანი, ებინუმა სამხრეთ-

კორეელ იუნ-ჰო ჩოს შეხვდა და ჰანტეით 1:2 წააგო. გულშემატკივრების პროტესტმა სწრაფადვე გაჭრა. მსაჯებს მთავარ სამსაჯო მაგიდასთან უხმეს, მითითება მისცეს და განმეორებითი ჰანტეი დაინიშნა, რომელიც იაპონელმა უკვე 3:0 მოიგო.

შავდათუაშვილი – ებინუმას შეხვედრისას, ლონდონში საგანგებოდ ჩაყვანილი 50-მდე ქართველი ჯარისკაცის ხმაშეწყობილ გულშემატკივრობას ყველა სექტორში პატარ-პატარა ჯგუფებად მსხდომი იაპონელების ყვირილი ფარავდა. ცხადია, ფსიქოლოგიური უპირატესობა ამ მხრივ ებინუმას მხარეს უნდა ყოფილიყო, მაგრამ ლაშას ეს ოდნავადაც არ ანაღვლებდა. ჩვეულად, თავდაჯერებულად მიუყვებოდა ოქროს მედლისკენ მიმავალ გზას.

მსოფლიოს ჩემპიონთან ბევრისთვის მოულოდნელად, გახსნილი, შემტევი სტილი აირჩია, რითაც ათასტატამგამოვლილი მოწინააღმდეგე გვარიანად დააბნია. აგრესიული შეტევა, თავისთავად, გარკვეულ რისკთანაც იყო დაკავშირებული, მაგრამ ლაშა თითოეულ მოძრაობას აკონტროლებდა, ებინუმა მუდმივად წნეხში ჰყავდა და ერთი მცირე შანსიც არ მიუცია. ცოტა ხანში კი ოლიმპიურ ჩემპიონობაზე ფიქრიც დაასრულებინა – ტიტულიანი მეტოქე ჩაწოლილი უკუგდებით დასცა ბეჭებზე.

ცოტა ხანში მეორე ფინალისტიც გამოვლინდა – უნგრელი მიკლოშ უნგვარი, ევროპის 3-გზის ჩემპიონი, მრავალ ბრძოლაშიგამობრძმედილი ფალავანი. 2002 წელს, მაშინ, როცა უნგვარი ევროპის ჩემპიონი პირ-


M.UNGVARI
HUN
London 2012





ველად გახდა, სკოლის მეორეკლასელ ლაშა შავდათუაშვილს ძიუდოში ვარჯიშიც კი არ ჰქონდა დაწყებული.

„მთავარია, პარტერში არ გამოიგონოს რამე, თორემ სხვანაირად მიკლოშ უნგვარი ლაშას მომგები არაა," — მითხრა პრესლოჟის გვერდით, ტრიბუნაზე მჯდომმა საქართველოს ნაკრების წევრმა ლევან ჟორჟოლიანმა. ნაკრების სხვა ძიუდოისტებიც იმედიანად იყვნენ. თითქმის ყველამ ფრთხილი შეხვედრა და ლაშას ქულებით მოგება იწინასწარმეტყველა. რამდენიმე წუთში ქართველებზე ბედნიერი „ექსელის" დარბაზში არავინ იყო. შავდათუაშვილმა ოლიმპიური ჩემპიონობა შეხვედრის დასაწყისში აღებული იუკოთი მოიპოვა.

„სულ მინდოდა, ოლიმპიური ჩემპიონებისთვის მეკითხა, რას გრძნობდნენ, როცა კვარცხლბეკზე იდგნენ. სანამ ამ შეკითხვის დასმას თავს მოვაბამდი, უცებ, მე თვითონ აღმოვჩნდი კვარცხლბეკზე. ისეთი დაბნეული ვიყავი, საქართველოს დროშას ვერ ვხედავდი, მთელ დარბაზში ვეძებდი. დაჯილდოების მომენტში, მეგონა, დროშა მეორე მხარეს ამოვიდოდა და იმ მხარეს ვიყურებოდი. რომ არ ამოვიდა, მერე ვიფიქრე, ტაბლოზე გამოჩნდება-მეთქი. მოკლედ, მთელი ჰიმნის განმავლობაში ასეთ გაურკვევლობაში ვიყავი," – გვითხრა დამოუკიდებელ საქართველოში დაბადებულმა პირველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ტრიუმფიდან რამდენიმე საათში, ლონდონის ქართულ სახლში შეკრებილ ჟურნალისტებს. იქამდე


adidas
LONDON 2012



კი, პირველ ემოციებზე „ექსელის“ საპრესკონფერენციო დარბაზში ისაუბრა.

66 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის მონაწილეებს შორის ყველაზე ახალგაზრდა ძიუდოისტი. სწორედ ასე წარადგინეს 20 წლის ჩემპიონი ფინალისშემდგომ პრესკონფერენციაზე.

- თავიდანვე უმაღლეს შედეგზე ფიქრობდით?

- რა თქმა უნდა, აქ მხოლოდ წარმატებისთვის ჩამოვედი. ჯერ კიდევ ტატამზე გასვლამდე ვიცოდი, ვისაც არ უნდა შევხვედროდი, ნებისმიერ მეტოქესთან მოსაგებად ვიბრძოლებდი.

- დიდ ძიუდოში საკმაოდ სწრაფად შემოიჭერით. როგორ მოახერხეთ ეს?

- შარშან ახალგაზრდებში გავხდი მსოფლიოს ჩემპიონი და შარშანვე, ნოემბერში გადავედი უფროსებში. მოვხვდი ისეთ ადგილას, საიდანაც აღმასვლისთვის ყველა პირობა მომეცა. ძლიერი შემადგენლობის გვერდით არაერთი საერთაშორისო შეკრება გავიარე. მთელი ამ ციკლით ისეთი კმაყოფილი დავრჩი, წარმატება ლოგიკურიც იყო.

- რას ნიშნავს თქვენთვის ეს ოქრო?

- უდიდეს სიხარულს, რომელსაც უფრო უკეთესად, ალბათ, დღეების შემდეგ შევიგრძნობ. ჯერ ცოტა დაბნეული ვარ.

- როდესაც მიკლოშ უნგვარი პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი, 9 წლის იყავით. დღეს მას ფინალში მოუგეთ. ასევე დაამარცხეთ რამდენიმე გამოცდილი მეტოქე. რის ხარჯზე მოახერხეთ ეს ყველაფერი?

- პირველ ყოვლისა, კარგი მომზადების ხარჯზე. სწორედ ამ ვარჯიშებმა მომიყვანა დღევანდელ შედეგამდე. შეგნებული მქონდა, რომ ბოლომდე უნდა დავხარჯულიყავი და მიზანსაც მივაღწიე. თუმცა აქვე ვიტყვი, უფროსების ტურნირებში ისე უცებ ჩავერთე, ერთხანს არც კი მჯეროდა, რომ ლონდონის ლიცენზიას მოვიპოვებდი.

- ვის უძღვნით ამ გამარჯვებას?

- ყველა გულშემატკივარს და, რა თქმა უნდა, ჩემს თანაგუნდელებს. პირველ ყოვლისა იმათ, ვინც ტატამზე ამ დღეებში უნდა გავიდნენ. ძალიან მინდა, რომ მათთვის ჩემი ოქრო უდიდესი სტიმული გახდეს.

ოლიმპიური ოქროს მოპოვებიდან ორიოდ საათში ლაშა შავდათუაშვილი, ქართული დელეგაციის წევრები და ბრიტანეთში მცხოვრები ქართველები ლონდონში „ქართული სახლის“ გახსნაზე შეიკრიბნენ. მედალს თითქმის ყველა სტუმარი შეეხო, ჩემპიონთანაც ყველამ გადაიღო ფოტო. რამდენიმე ქართველი ჟურნალისტი კი, უმაღლეს ოლიმპიურ ჯილდოს ჯერ კიდევ დილით „მივეფერეთ,“წინასწარი შეხვედრების დაწყებამდე. პრეს-ლოჟის გვერდით ბრაზილიელები მოკალათდნენ. მათ შორის იყო სარა მენეზეში – ძიუდოისტი ქალბატონი, რომელმაც წინა დღეს, 48 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. ოქროს მედალიც თან ჰქონდა და ფოტოს გადაღებაზე ღიმილით დაგვთანხმდა. შენი წყალი გადმოგვსხმოდესო – ჩაილაპარაკა სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა. ასე აგიხდეთ ყველა ნატვრა.

* * *

რა ხდებოდა 29 ივლისის იმ ლამაზ საღამოს ლაშა შავდათუაშვილის სახლში? გორის რაიონის სოფელ კარალეთში გენადი შავდათუაშვილის ოჯახში არათუ დასაჯდომი, ფეხზე დასადგომი ადგილის მოძებნაც შეუძლებელი იყო, მისალოცად მომსვლელთა რიგს კი ბოლო არ უჩანდა.

გენადი შავდათუაშვილი: „უბედნიერესი კაცი ვიყავი დედამიწის ზურგზე, მაგრამ ემოციებისგან ისე დავიცალე, სიხარულის გამოხატვასაც კი ვერ ვახერხებდი. ოთახში, სადაც ტელევიზორი იდგა, ფინალის დაწყებამდე უკვე ნემსის ჩასავარდნი ადგილი არ იყო. ყველას გვჯეროდა, რომ რაღაც ძალიან კარგი უნდა მომხდარიყო. მე ამას ჯერ კიდევ ნახევარფინალის წინ მივხვდი, ტატამზე გამოსული ლაშას თვალების დანახვისთანავე. ასეთ რამეს მარტო მშობელი თუ შეამჩნევს. მის თვალებში თავდაჯერებულობა და სიმშვიდე ამოვიკითხე. უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ წინ ვეღარავინ დაუდგებოდა. არადა, ნახევარფინალამდე ბევრად უფრო ცუდი განწყობა მქონდა. წინასწარი ეტაპის შეხვედრები რომ არ გადმოსცეს, ვიფიქრე, მორჩა, წააგო-მეთქი. ახალ-ახალ სასიამოვნო

London 2012
London 2012



ამბებს ტელეფონით მაგებინებდნენ. ჩემი მეორე ვაჟი — ბექა დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე იყო შეკრებაზე და ყველა შეხვედრას უყურა ინტერნეტის მეშვეობით. ასევე უყურებდნენ მწვრთნელები, ახლობლები და ყოველი მოგების მერე მირეკავდნენ. ფინალის შემდეგ კი უკვე მართლა ძნელი იყო ჩემს ტელეფონზე დარეკვა. ორი წუთით ეზოში გავედი, ცოტა გონზე რომ მოვსულიყავი. ჭიშკრიდან ქუჩას რომ გავხედე, გაჩერებულ მანქანებს ბოლო არ უჩანდა და მთელი ეს ხალხი ჩვენთან იყო."

თეა შავდათუაშვილი: „ჩემი მეუღლე გადამწყვეტ ჭიდაობებს გაცილებით ყოჩაღად შეხვდა. მე თავი ხელში ვერაფრით ავიყვანე. ტელევიზორის ყურება არ შემეძლო. ცრემლებს ვერ ვიკავებდი. არადა, წინა დღეებში გენადის იქეთ ვამშვიდებდი. საშინლად ნერვიულობდა. ოლიმპიადაზე ძიუდოს დაწყებამდე ორი დღით ადრე კენჭისყრა გაიმართა და ტელევიზორში ქართველების შანსების შეფასებისას ჟურნალისტმა თქვა, ლაშა შავდათუაშვილს არ გაუმართლაო. გენადიც იმ მომენტიდან მოიშალა და სულ ცუდად იყო. შემდეგ სანერვიულოდ ქართველი მოკრივის სკანდალიც დაემატა, ვაითუ ლაშამაც ვერ შეძლოს ზედმეტი წონის დაკლებაო. მაგრამ ლაშას ჭიდაობის დღეს უკვე ძალა მოიკრიბა. ბოლო შეხვედრის დროს ჩვენს სახლში ხალხი აღარ ეტეოდა. სიტყვებით ძნელია იმის გადმოცემა, რა ხდებოდა ფინალის დასრულების შემდეგ. მოდიოდნენ და მოდიოდნენ მომლოცველები. ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაურიც გვესტუმრა. ჯერ კიდევ მიჭირდა იმის ბოლომდე გაანალიზება, რამხელა სიხარული გვეწვია, ვიდრე ლაშამ არ დარეკა. პირველი რა მითხრა? მკითხა, ხომ მაგარი ვარ დედაო. რამდენიმე დღეში, სრულიად მოულოდნელად, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც მოვიდა, რათა ფინალში გასული რეზო ლაშხის გადამწყვეტი ჭიდაობისთვის ჩვენთან ერთად ეყურებინა."

* * *

29 ივლისის გახსენება ლაშა შავდათუაშვილის პირად მწვრთნელებს — ნიკო ბიბილაშვილსა და ანზორ თენაძესაც ვთხოვე. ოლიმპიურ დელე-

გაციაში ადგილი არც ერთი მათგანისთვის არ გამოიძებნა. ანალოგიურად დაიჩაგრნენ სხვა პერსპექტიული ქართველი სპორტსმენების პირადი მწვრთნელებიც. მაშინ, როდესაც ლონდონში თბილისიდან რამდენიმე ჯგუფი ჩავიდა და მათი მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯები სახელმწიფომ სრულად დაფარა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ დაკომპლექტებულ სიებში ვეტერანი სპორტსმენები, სამინისტროს თანამშრომლები და გულშემატკივრები მოხვდნენ. ზოგიერთმა მათგანმა ბრიტანეთში ყოფნისას დარბაზში ერთორჯერ თუ შეიხედა, სპეციალისტები კი ამ დროს თავიანთი შეგირდების გამოსვლას ტელევიზორშიც ვერ უყურებდნენ.

ნიკო ბიბილაშვილი: „ბავშვები ქობულეთის შეკრებაზე მყავდა. ლაშას ჭიდაობის დღეს ტელევიზორს მივუჯექით, მაგრამ ნახევარფინალამდე ისე მივიდა, ტელევიზიით ერთი შეხვედრაც არ გადმოსცეს. ყოველი ბრძოლის მოგების მერე მეგობრები მირეკავდნენ ხოლმე და დაწვრილებით ვაყოლებდი, როგორ იჭიდავა. ნახევარფინალი უკვე პირდაპირი ეთერით გადმოსცეს, მაგრამ უცებ შუქი ჩაქრა და ვერც იაპონელის დამარცხებას ვუყურე. ფინალისას კი უკვე მე თვითონ აღარ გავეკარე ტელევიზორს, მიუხედავად იმისა, რომ სასწაულად მაინტერესებდა. ვიფიქრე, აქამდე ისე მოვიდა, ერთხელაც ვერ ვუყურე და იქნებ სჯობდეს, არც ფინალი ვნახო-მეთქი. ტელევიზორთან მხოლოდ მას შემდეგ მივედი, როცა ბავშვები ყვირილით გამოცვივდნენ, ჩემპიონი გახდაო. ჩემზე ბედნიერი იმ წუთში არავინ მეგონა.“

ანზორ თენაძე: „ახალგაზრდული ნაკრები დუშეთში გადიოდა შეკრებას და 29 ივლისს მათ მოსანახულებლად ავედი. ლაშას ჭიდაობას სასტუმროში უყურებდნენ და გადავწყვიტე, მეც მათთან დავრჩენილიყავი. ბექაც იქვე იყო. მართალია, ლონდონში ვერ წავედი, მაგრამ დიდი გამარჯვება მაინც ძიუდოისტების გარემოცვაში ვიზეიმე. ოლიმპიური თამაშების წინ, ჩვენი ნაკრების შანსებზე საუბრისას ლაშაზე თითქმის არავინ ლაპარაკობდა. მისგან წარმატებას ნაკლებად ელოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიადამდე რამდენიმე თვით ადრე ევროპის ჩემპიონატზე მედალი ჰქონდა მოპოვებული. მე კი სწორედ იმ ევროპირველობა-





NIKE

ზე მისი კარგი ჭიდაობიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვიყავი, რომ ლონდონშიც შეიძლებოდა მედლის აღება. რა თქმა უნდა, წარმატებას ბევრი დამატებითი ხელშემწყობი ფაქტორიც სჭირდებოდა: წილისყრა, ობიექტური მსაჯობა, ფსიქოლოგიური განწყობა. წილისყრაში გაუმართლაო, ვერავინ იტყვის, მსაჯობა ნორმალური იყო, თითოოროლა სადავო მომენტს თუ არ გავიხსენებთ. განწყობით კი ლაშამ ყველა აღგვაფრთოვანა. 20 წლის ბიჭი საქმეს ისე პროფესიულად და მშვიდად მიუდგა, ბევრ გამოცდილ და ტიტულიან სპორტსმენს რომ შეშურდებოდა."

...მიუნხენის ოლიმპიადიდან 40 წლის შემდეგ, როდესაც შოთა ჩოჩიშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა, საქართველოს და კერძოდ, გორის ძიუდოს სკოლას ახალი გმირი ჰყავს — ლაშა შავდათუაშვილი. გორის ძალიან მონატრებული იყო ამ წარმატებას. ბოლოს გორელთაგან ოლიმპიურ თამაშებზე გიორგი ვაზაგაშვილმა აიღო მედალი — 2000 წელს, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. მაშინ ამ ქალაქში ძიუდოს უმძიმესი პერიოდი ედგა. ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად ვაზაგაშვილს დარბაზიდან ტატამი სახლში გაატანეს –აქ პირობები არაა და იქნებ შენთვის მაინც ივარჯიშოო".

* * *

„ექსელის" ძიუდოს დარბაზში ლაშა შავდათუაშვილი გაჩემპიონებიდან ერთ დღეში ისევ მივიდა, ამჯერად უკვე — გულშემატკივრის რანგში. იმ დღეს ტატამზე გადიოდა მისი მეგობარი, 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ნუგზარ ტატალაშვილი. ქართული შვიდეულიდან წილისყრისას ნუგზარს ყველაზე მეტად არ გაუმართლა — პირველივე მეტოქედ უმთავრესი ფავორიტი, სამხრეთკორეელი კი-ჩუნ ვანგი შეხვდა და მიუხედავად იმისა, რომ ყოჩაღად ეჭიდავა, იუკოთი მაინც დამარცხდა და ოლიმპიურ თამაშებს საწყისი ეტაპიდანვე გამოეთიშა. ლონდონური ძიუდოს პროგრამა კიდევ ოთხი დღე გაგრძელდა, ტატამზე ოთხი ქართველი გავიდა, მაგრამ არათუ მორიგი მეორე ოქრო, ერთი მეოთხედფინალიც კი სანატრელი გახდა.

ქალთა და მამაკაცთა ჩემპიონ-პრიზიორთა გამოვლენიდან რამდენიმე საათში ყველა ოქროსმედალოსანიძიუდოისტი სასტუმრო „დორჩესტერში,“ ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მიერ ორგანიზებულ პომპეზურ მიღებაზე შეიკრიბა. ფედერაციის პრეზიდენტმა მარიუს ვიზერმა თითოეულ ჩემპიონს პირადად მიულოცა გამარჯვება. ამასთან, ყოველი მათგანი ცალ-ცალკე დაახასიათა, ლაშა შავდათუაშვილის წარმატება კი, სპორტსმენის ასაკისა და გამოუცდელობის გამო, ყველასგან გამოარჩია.

ორიოდ დღეში, ქართული სპორტული დელეგაციის ნაწილი ჩარტერული რეისით თბილისში დაბრუნდა. ჯგუფში ის სპორტსმენები და მწვრთნელები შეიყვანეს, ვინც ლონდონში გამოსვლა უკვე დაასრულა. თბილისში წამსვლელთა სიაში, ცხადია, ძიუდოისტებიც მოხვდნენ, ოღონდ შავდათუაშვილისა და ტატალაშვილის გარეშე. ოლიმპიურ ჩემპიონს შინ ყველაზე მეტად კი მიუხაროდა, მაგრამ დათანხმდა ქართული სპორტის ხელმძღვანელების თხოვნას –ლონდონში ოლიმპიადის დახურვამდე დარჩენილიყო და თან მეგობარიც დაიტოვა. ლაშა და ნუგზარი თითქმის ყოველდღე დადიოდნენ ქართველი სპორტსმენების საგულშემატკივროდ, შიგადაშიგ ოფიციალურ მიღებებსა თუ ღონისძიებებსაც ესწრებოდნენ და, რაც არ უნდა წარმოუდგენელი იყოს, ერთ ლონდონურ დარბაზში, სავარჯიშოდაც მოიცალეს. ჩემი თვალით რომ არ მენახა, შეიძლება არც დამეჯერებინა. ხუმრობით ვუთხარი, რა დროს ვარჯიშია, გაიარეთ, გაერთეთ-მეთქი, მოგვენატრაო – მიპასუხეს.

* * *

მაცხოვრის შობის სახელობის საკათედრო ტაძარი – ასე ეწოდება ეკლესიას, რომელიც ლონდონში მცხოვრები ქართველების უსაყვარლესი ადგილია. ამისშესახებ ჯერ კიდევ ბრიტანეთში წასვლამდე ვიცოდი, ერთი ჩემი მეგობრისგან, რომელიც ამ ტაძარში გალობდა.

ძნელია იმ გრძნობის სიტყვებით გადმოცემა, ერთ ჩვეულებრივ ლონდონურ ქუჩაზე, ღობეზე გამოკიდებული ქართული აბრის დანახვისას რომ გამოვცადე.ტაძარი, რომელიც დღეს უკვე ქართველებს ეკუთვნის,

ორი საუკუნის წინ ერთ-ერთმა ადგილობრივმა მაცხოვრებელმა ააგო. შემდეგ, რატომღაც, სარწმუნოებაზე გული აუცრუებია და დაუხურავს. ტაძარი სწორედ მისი მემკვიდრისგან იქირავეს ქართველებმა ორი წლის წინ, იმ პირობით, რომ ერთ წელიწადში იყიდდნენ. მრევლის წევრთა გადმოცემით, ერთხანს უიმედო სიტუაცია ჩამოვარდა, მაგრამ ღმერთმა სწრაფადვე მოუვლინა ქართველებს პრობლემის მომგვარებელი – ბიზნესმენი თამაზ სომხიშვილი, რომელმაც ეკლესია შეიძინა და ლონდონელ ქართველობას შეუფასებელი საჩუქარი გაუკეთა.

ტაძრის წინამძღვარი, მამა დოროთე იქვე ცხოვრობს. მან იმ ოთახში მიმიწვია,სადაც ქართული მრევლის ერთმა ნაწილმა ლაშა შავდათუაშვილის ფინალის პირდაპირ ტელერეპორტაჟსუყურა. გაიხსენა, რა ხდებოდა იმ ბედნიერ წუთებში უცხო მიწაზე მცხოვრები ქართველების გულებში.

ლონდონის ქართული ტაძრის წინამძღვარი სპორტის დიდი ქომაგი აღმოჩნდა.საგანგებოდ ინახავს საქართველოს მორაგბეთა ნაკრების სპორტულ ფორმას. ასევე მამუკა გორგოძისა და ზურაბ ხიზანიშვილის მიერ ნაჩუქარ ნაკრების მაისურებს. მთხოვა, ჩვენიოლიმპიური დელეგაციის წევრებიც მიმეყვანა ტაძარში. ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურს ამის შესახებ მაშინვე ვაცნობე და მეორე დილით, სრული დელეგაცია არა, მაგრამ ლაშა შავდათუაშვილი ტაძარში იყო, წირვაზე დასასწრებად.ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ შეთავაზებას ერთ-ერთი პირველი სწორედ ჩემპიონი დათანხმდებოდა. ლაშა თავისი სოფლის ეკლესიაში ბავშვობიდან სტიქაროსანი იყო.

ქართველობამ ტაძარში შეკრება დაახლოებით დილის 9 საათიდან დაიწყო. წირვის დროს დარბაზში უკვე 100-მდე ქართველი იყო: ადგილობრივი მაცხოვრებლები, რამდენიმე ჟურნალისტი და ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი. უნდა გენახათ უზომოდ გახარებული, სიამაყისგან გულაჩუყებული, თვალცრემლიანი ადამიანები. ყველა ლაშას უყურებდა, ყველას უნდოდა მისულიყო და ჩახუტებოდა. ოლიმპიური ჩემპიონი წირვის დასრულებას ვეღარ დაელოდა, საჭიდაო დარბაზში მიდიოდა ზურაბ დათუნაშვილის გასამხნევებლად, თუმცა თბილისში დაბრუნებამდე ტაძარში კიდევ ორჯერ მივიდა. ჯერ 8 აგვისტოს, 2008 წლის რუსეთის აგრესიის

შედეგად დაღუპულთა სულების მოსახსენიებელ პარაკლისზე, შემდეგ კი თბილისში გამომგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე, ოფიციალურ საზეიმო საღამოზე, რომელსაც ქართული სპორტული დელეგაცია თითქმის სრული შემადგენლობით დაესწრო.

ოლიმპიური თამაშები საქართველომ 7 მედლით დაასრულა. ამათგან ოქრო მხოლოდ ერთი იყო და ეროვნული ოლიმპიურიკომიტეტის გადაწყვეტილებით, დახურვის საზეიმო ცერემონიაზე ქართული გუნდის მედროშეობა ამ ოქროს მფლობელ ლაშა შავდათუაშვილს დაევალა.

„ეს ჩემთვის უდიდესი პატივია. მადლობა ამ დაფასებისთვის," – თქვა მაშინ ოლიმპიურმა ჩემპიონმა, რომელსაც ხალხისთვის მინიჭებული სიხარულის გამო მთავარი აღიარება ჯერ კიდევ წინ ელოდა - 2012 წლის მიწურულს, უკვე 21 წლის ძიუდოისტი საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა. სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის,ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სპორტის სამინისტროს, სპორტული გამოცემების ვერსიებით ლაშას რეალური კონკურენტი არც ჰყავდა. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ უახლეს რეიტინგ-სიაში კი 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს თავში მოექცა.

* * *

საქართველოს 34-ე ოლიმპიური ჩემპიონის წიგნზე მუშაობისას, რა თქმა უნდა მის რაიონშიც ჩავედი. ლაშა ჩემს დასახვედრად ახალთახალი ავტომობილით მოვიდა და ახალშეძენილ სახლში წამიყვანა, გამაცნო მშობლები. ცოტა ხანში სპორტსმენის მეგობარი და მწვრთნელიც შემოგვიერთდნენ, თავიანთი ავტომობილებით, რომლებიც ოლიმპიური ჩემპიონისგან მიიღეს საჩუქრად, ოღონდ არც ლაშას და არც მისი ოჯახის წევრებს ამის შესახებ სიტყვაც არ დაუძრავთ. და კიდევ ერთი სამადლო საქმე, რომელზეც შემთხვევით, აბსოლუტურად უცხო ადამიანისგან გავიგე – ტაქსით პატარა ეკლესიას ჩავუარეთ, სამშენებლო სამუშაოები იყო გაჩაღებული. „ლაშა შავდათუაშვილი აკეთებს, ოლიმპიური ოქროსთვის აღებული პრემიით. ღმერთმა გაუმარჯოს," – მითხრა ტაქსის მძღოლმა.

ლაშა შავდათუაშვილი: „სპორტი ან ყველაფერია, ან არაფერი"! – ეს ჩემი დევიზია, ჯერ კიდევ ბავშვობიდან მოყოლებული. თუ გადაწყვიტე, რომ მართლა სპორტსმენი გახდე და გინდა, წარმატებებს მიაღწიო, ბევრი რამ უნდა მოიკლო. უნდა აირჩიო - ან სპორტი, ან გართობა.ისეთი სპორტსმენებიც მრავლად არიან, დღედაღამ ბეჯითად რომ შრომობენ, მაგრამ არათუ ოლიმპიურ ჩემპიონობას, უბრალოდ ოლიმპიადაზე მოხვედრასაც ვერ ახერხებენ. მე კი...როგორც ჩანს, იღბლიანი ვარ, საჭირო დროს, საჭირო ადგილას აღმოვჩნდი."

* * *

ოლიმპიადის შემდეგ ქართველმა ჩემპიონმა საერთაშორისო არენაზე გასვლა კარგა ხანს ვერ შეძლო. ლონდონიდან დაბრუნების შემდეგ თითქმის არ შეუწყვეტია ვარჯიში, მაგრამ ინტენსიურ მზადებაში ხელს უშლიდა თიაქარის საზარდულის ტრავმა. საჭირო გახდა ოპერაციული ჩარევა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა კიმონო მხოლოდ თებერვლის ბოლოს დიუსელდორფის „დიდ პრიზზე" მოირგო და მეხუთე ადგილს დასჯერდა. ევროპის 2013 წლის ჩემპიონატამდე დარჩენილი ორი თვე მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოიყენა – ყველა სანაკრებო შეკრებაში მიიღო მონაწილეობა და ბუდაპეშტური ევროპირველობის წინ პირველად თქვა, რომ საპასუხისმგებლო ტურნირზე საჭიდაოდ მზად იყო. დასაწყისი მძი-

CHAMPIONSH
EST 3

SHAVDATUASH
RUS
3:17

RLS

მე იყო - პირველ წრეში ბელგიელ იასპერ ლეფევრთან სამი წუთის შემდეგ ვაზარ-იუკოს აგებდა და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო ჯერ საპასუხო ვაზარის აღება, შემდეგ კი მეტოქის შებოჭვა. მერვედფინალში რუმინელ რემუს მირჩეა ლაზეას იუკოთი გასცდა. მერე კი უნგრელი ბენცე ზამბორი და აზერბაიჯანელი ნიჰათ შიხალიზადე იპონ-იპონ ჩამოიცილა. გადამწყვეტ შეხვედრაში შავდათუაშვილმა რუსეთის ნაკრების წევრ კამალ ხან-მაგომედოვს მეორე წუთზე აუღო ოქროს მომტანი ვაზარი. ევროპული ტიტულის მოგებიდან სამიოდ დღეში ლაშა შავდათუაშვილი ბუდაპეშტური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ისევ ავიდა და საქართველოს ჰიმნსაც ერთხელაც მოუსმინა. მიზეზი უკვე თანაგუნდელებთან ერთად ევროპის გუნდური ჩემპიონატის მოგება იყო.

„ძალიან ბედნიერი ვარ. ოლიმპიური თამაშების შემდეგ ეს ჩემი პირველი სერიოზული ტიტულია. ყველას დავუმტკიცე, რომ ლონდონური წარმატება შემთხვევითი არ იყო," – უთხრა უნგრეთიდან დაბრუნებულმა შავდათუაშვილმა ქართველ ჟურნალისტებს.

დაიბეჭდა
შპს „ფავორიტი პრინტში“